

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართული ლიტერატურა

ხვედელიძე ანა

ფოლკლორულ მასალასთან ვაჟა-ფშაველას მიმართების
საკითხი

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელძღვანელი: ლადო მინაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია	4
შესავალი.....	6
თავი I. ვაჟა-ფშაველას თხზულებების ხალხური წყაროების საკითხი	9
თავი II. ვაჟა-ფშაველას თხზულებების ხალხური გადმოცემა - თქმულებებთან მიმართების თვისობრივი მხარე	25
თავი III. ვაჟა-ფშაველას პოემათა შემოქმედებითი ისტორიისათვის.....	35
დასკვნა	40
გამოყენებული ლიტერატურა.....	43

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მიზანად ისახავს ფოლკლორულ მასალასთან ვაჟა-ფშაველას მიმართების გარკვევას. როგორ უდგება იგი ხალხურ ზეპირსიტყვიერებას - ექცევა მისი გავლენის ქვეშ და პირდაპირ იღებს თავისი პოეტური შემოქმედებისათვის, თუ შეაქვს სიახლეები, გარდაქმნის და ახალ შინაარსს სძენს მას. ნაშრომში თავდაპირველად მითითებულია ამ საკითხის კვლევის მნიშვნელობა. როგორც მიუთითებენ, ფოლკლორული მასალა ერის სულის, მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის გამომხატველია და მწერლის მისდამი მიდგომაში მჟღავნდება შემოქმედის ნიჭი და ალლო.

სანამ უშუალოდ ვაჟა-ფშაველას ფოლკლორულ მასალასთან მიმართებაზე იქნება სუბარი, მანამდე ნაშრომში განხილულია ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის მნიშვნელობა, რომლის შესწავლის დროსაც რამდენიმე საკითხი ისმევა: რა როლი ითამაშა ეროვნულმა ზეპირსიტყვიერებამ ჩვენი ლიტერატურის შექმნაში, რა გზით ვითარდებოდა მწერლობისა და ხალხური პოეზიის ურთიერთობა, როგორაა შესული ფოლკლორული ელემენტები ხელოვანთა შემოქმედებაში? უკანასკნელი ჩვენი თემის გარკვევისათვის არსებითია.

ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას მიდგომა ფოლკლორულ მასალასთან: როგორც ვიცით, იგი თავდაპირველად კრებდა და აგროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მოგვიანებით კი საკმაო მასალა აღმოაჩნდა დაკვირვებისათვის და შემოქმედებითად გადამუშავებისათვის.

პირველ თავში, „ვაჟა-ფშაველას თხზულებების ხალხური წყაროების საკითხი“, განხილულია ვაჟას შემოქმედების ფოლკლორი წყაროები, რომელსაც თავად ასახელებს წერილში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“, ასევე დასახელებულია აკ. შანიძის წიგნის „ხევსურული პოეზიის“ მიხედვით შესაძლო ფოლკლორული წყაროები. განხილულია ვაჟას თანამედროვე კრიტიკოსთა და შემდგომი დროის მკვლევართა მოსაზრებები მწერლის ფოლკლორთან მიმართების საკითხზე. სწორი და მართებული

დასკვნების გამოსატანად, მოყვანილია არამართებული და ხანდახან არაკომპეტენტური მოსაზრებებიც.

ნაშრომში ცალკე თავადაა გამოყოფილი საკითხი ხალხური წყაროების ვაჟასეული გადამუშავების, მათში შეტანილი ცვლილებების თვისობრივი შინაარსის, მხატვრული აზრის შესახებ, რაც არის პირობა ვაჟას შემოქმედებით საიდუმლოებებთან კიდევ უფრო მიახლოებისა.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია ვაჟა-ფშაველას პოემათა შემოქმედებითი ისტორია იმის ნათელსაყოფად, რომ პოეტი ყოველთვის ინდივიდუალური შემოქმედებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს, მიუხედავად ფოკლორულ მასალასთან პოემათა სიახლოვისა თუ სიმორისა.

Annotation

The aim of this master's thesis is to analyze the connection between folklore and Vazha-Pshavela. How does he approach folklore? Is he under its influence and uses it unaltered for his poetic work, or makes changes, transforms it and gives a new content. In the beginning the paper tells us about the importance of researching this issue. As it is pointed out, the materials of folklore is a reflection of a soul, worldview and ideology of a certain nation and the way an author approaches it shows his talent and instincts.

Before we start talking about the main topic of this paper, we will discuss the importance of a relation of folklore and literature, during examining of which there will be pointed out several issues: what role did our national folklore played in creating out literature? In what way did the relation between writing and folkloric poetry develop? How do the folkloric elements enter in the works of artists? The last question is essential for our thesis.

In this paper we discuss the approach of Vazha-Pshavela to folkloric materials: as we know, at first he gathered this kind of materials, and later he had enough of them to inspect and to process them creatively.

In the first chapter "The matter of folkloric sources of Vazha-Pshavela's works" we explore the folkloric sources of his literature, which he mentions himself in the letter "The criticism of B. Ip. Vartagava", we also name the possible sources according to A. Shanidze's book "Khevsurian Poetry". There is also discussed the opinions of Vazha's contemporary critics and researchers of later periods about the main issue of this thesis. To make correct and accurate conclusions we also mention wrong and sometimes even incompetent opinions.

We give a separate chapter to a question of how Vazha processes folkloric materials, speak about the essential changes in them, about an artistic idea, which is the premise to get closer to the secret of Vazha's creative work.

In the third chapter we discuss the history of Vazha-pshavela's poems to clarify that the poet always shows sings characteristic of individualistic creative work, no matter how close or far his poems are to folkloric materials.

შესავალი

ფოლკლორული მასალის შესწავლა უნიშვნელოვანესია როგორც ლიტერატურისთვის, ასევე ენთიმეცნიერებისა და ეთნოგრაფიისათვის, რადგანაც მასში ეროვნული წარსული ძევს, მასში გამოხატულია საზოგადოებრივი აზრი, მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. ბევრი ქართველი გამოჩენილი მწერალი იყენებდა თავის შემოქმედებაში ხალხურ პოეზიას და ასევე აგროვებდა მის ნიმუშებს (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი და სხვა.), მაგრამ ამ მხრივ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი მაინც ვაჟა-ფშაველას ღირსეულად უკავია. როგორც კრიტიკოსი იპ. ვართაგავა უწოდებს, „მთის შვილს- ვაჟა-ფშაველას“ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ხალხური პოეზიის მიმართ. ეს დამოკიდებულება მანამდე გაჩნდა, სანამ იგი გაცნობიერებულად შეუდგებოდა ფოლკლორული მასალის შესწავლას. ვაჟა იზრდებოდა ფშავეში სახალხო მთქმელთა გარემოში და სწორედ ამ გარემომ შეუწყო ხელი მისი სათუთი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულების შექმნას ხალხური პოეზიის მიმართ. აღნიშნულის არგუმენტად გამოდგება ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას დედას საოცარი გადმოცემის უნარი ჰქონდა. თედო რაზიკაშვილი მოგვითხრობს: *„უბრალო რაიმე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოსცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რომ დევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზედ დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვითმხილველ-გამგონედ მეჩვენებოდა“* [მ.ჩიქოვანი „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“ I, თბ. 1971]. ვაჟას ყრმობისდროინდელი გარემოს დაწვრილებითი შესწავლით მკითხველისთვის უკვე

გასაგები ხდება, თუ რატომ ანიჭებდა იგი დიდ მნიშვნელობას ხალხურ პოეზიას და რატომ უყვარდა განსაკუთრებულად. ახალგაზრდა პოეტმა თავის დამოკიდებულება გამოხატა, როგორც პრაქტიკული საქმიანობით (ვგულისხმობ იმას, რომ იგი აქტიურად კრებდა და ინერდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ფოლკლორში ბევრ საჭირობოროტო საკითხზეც ღირებული დასკვნები ეკუთვნის, რომლებიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას), ასევე ეთნოგრაფიულ თუ პუბლიცისტურ წერილებში გამოთქმული მოსაზრებებით და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ორიგინალური, ჯანსაღი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით ხალხური პოეზიისადმი, რაც მის პოეტურ ქმნილებებში გაცხივებდა. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ვაჟა-ფშაველა ხალხური პოეზიის არა უბრალო მიმბაძველი, არამედ მისი გარდამქმნელი და ახალი სულის ჩამდგმელი იყო და, ვფიქრობ, სწორედ ამ შემოქმედებით მიდგომაშია მისი გენიალურობა. თავად ვაჟა კრიტიკულ წერილებში („კრიტიკა ბ.იპ. ვართაგავასი“, „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“) მკაფიოდ გახაზავს თავის მიდგომას ხალხური პოეზიის ინდივიდუალურ შემოქმედებაში გამოყენების შესახებ და, რა თქმა უნდა, ეს მიდგომა უკვე არსებულის გადააზრებაში, ახალი სულის ჩადგმაში მდგომარეობს: *„თუ უნდა პოეტს, რომ ლეგენდიდან ხელოვნური ნაწარმოები შექმნას. ლეგენდა უსათუოდ თავისებურად უნდა შეიმუშაოს, თავის გრძობა-გონების საკუთრებათ გახადოს, გადააქციოს...“* [ვაჟა-ფშაველა, 1986:717] იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა-ფშაველა ხალხურ პოეზიას შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაწყვეტი ეთნოგრაფიული ნარკვევიდან „ფშაველები“. ვაჟამ ხალხური პოეზია განიხილა და შემდეგ საყურადღებო დასკვნამდე მივიდა: *„ფშაველები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშაველის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი- მოყოლებული სიცოცხლიდან სიკვდილამდე და საიქიომდე“.* [ვაჟა-ფშაველა, 1986:603] მთაში გაზრდილი პოეტი, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდობიდანვე იჩენდა ინტერესს ხალხური პოეზიის მიმართ, თუმცა თავდაპირველად იგი ხალხური პოეზიის ნიმუშებს კრებდა და აღწერდა, ანუ მეცნიერულად უდგებოდა. მოგვიანებით ვაჟამ ხალხური პოეზიის ნიმუშები გარდაქმნა და თავის ნაწარმოებთა საფუძვლად აქცია: *„საგმირო ამბებს დიდი აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლას, ლიბოდ ჩემს შემოქმედებას“.* გარდა ხევსურული

პოეზიისა და ვაჟა-ფშაველას თემების თანხვედრისა, ვაჟამ მუსიკალური ფშაური ინტონაცია საფუძვლად დაუდო თავის პოეტურ შედეგებს. იგი ხალხურ პოეზიის ცოდნას არა მხოლოდ მწერალთა, არამედ - ყველა ქართველის მოვალეობად თვლის: „დიდად საჭიროა მწერლობისთვის საერო ლიტერატურის ცოდნა. ეს ცოდნა მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს, - სიტყვებს და მერე აცნობს ერის სულის და გულის მოძრაობას, მის აზრს ცხოვრებისას; ნამეტნავად ფშაური პოეზია თავის ძველებურის ფორმების და თავისებურ შეხედულებით მსოფლიო ცხოვრებაზე, საჭიროა იცოდეს არა მარტო მწერლებმა, არამედ ყველა ქართველმაც.“ [ვაჟა-ფშაველა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, 1887 წ.] დღეს უდავოდ ვრწმუნდებით ვაჟას აზრების სისწორესა და გენიალურობაში, რადგანაც ფოლკლორული მასალა ერის კულტურული პოტენციალის საუკეთესო გამოვლინებაა და მისი საფუძვლიანი შესწავლა ერის მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის შესწავლას ნიშნავს. რადგანაც ვაჟა თავის თეორიულ დამოკიდებულებას პრაქტიკაში იყენებდა და დღეს სადავო აღარაა მისი პოეზიის მჭირო კავშირი ფოლკლორულ მასალასთან, ვაჟა-ფშაველას მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლა პოეტის ზეპირსიტყვიერებასთან დამოკიდებულების გარკვევის გარეშე შეუძლებელია.

ნაშრომში მიზნად ვისახავ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ვაჩვენო როგორია ფოლკლორთან ვაჟა-ფშაველას მიდგომა, რა მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქმულა ამ მხრივ ქართველ კრიტიკოსთაგან ვაჟას სიცოცხლეში, როგორი იყო ვაჟას რეაქცია გარკვეულ მოსაზრებებთან დაკავშირებით და რა მდგომარეობაა სადღეისოდ ამ საკითხის შესწავლის თვალსაზრისით.

თავი I

ვაჟა-ფშაველას თხზულებების ხალხური წყაროების საკითხი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში დღეს შეფასებულია როგორც უმნიშვნელოვანესი განძი ჩვენი კულტურისა, ამასთანავე უნდა აღვნიშნო ის, რომ პოეტის შემოქმედების თავისებურებებმა თვისობრივად ახალი საკითხები დასვა სალიტერატურო კრიტიკის წინაშე და მათ შორის ერთ-ერთია პოეტის მიმართება ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან: როგორია ან როგორი შეიძლება იყოს იგი. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თავისებურება - კერძოდ, ფოლკლორულ მასალათან მჭიდრო კავშირი, იმთავითვე გახდა კრიტიკოსების განსჯის საგანი. ივ.ვართაგავამ წერილში „სიმღერა მთის შვილის - ვაჟა-ფშაველასი“ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნია ვაჟას თხზულებების წყაროებზე მითითება: *„ასეთი შედარებითი გაცნობა ხალხის ეპიკურ ნაწარმოებთა და ვაჟას პოემებისა დიდად საჭირო და საინტერესოა..“* [ივ. ვართაგავა, 1958:109] კრიტიკოსის ინტერესის დაკმაყოფილება ვაჟამ საკუთარ თავზე აიღო, გამოაქვეყნა წერილი „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ და მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო კრიტიკოსის მოთხოვნა გაეგო რა იყო ხალხური და რა ეკუთვნოდა თავად ვაჟას, თუმცა კი ისიც მკაფიოდ მიუთითა, რომ *„თუ მას კარგი კრიტიკული ალლო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა იდივიდუალური;“* [ვაჟა-

ფშაველა, 1986:732] წერილში ვაჟა ასახელებს პოემების: „სტუმარ-მასპინძლის“, „გველისმჭამელის“, „ალუდა ქეთელაურის“, „ბახტრიონის“, და „გოგოთურ და აფშინას“ ფოლკლორულ წყაროებს. მწერალი ამბობს, რომ მის მიერ დანერგილი პოემების უმეტესობა ხალხურ თქმულებებსა და ძველ ამბებზეა დაფუძნებული, თუმცა თითოეული მათგანი ხან ძალიან შორდება დედანს, ხან კი- უახლოვდება. პოეტი თვლის, რომ თავისებურად შემუშავებულმა ნაწარმოებებმა უფრო მეტი სახელი მოიპოვეს საზოგადოებაში (ასახელებს „სტუმარ-მასპინძელს“ და „გველისმჭამელს“), ვიდრე ნაკლებად გადამუშავებულმა. მწერლის ამგვარი დამოკიდებულება უთუოდ თავმდაბლობას უნდა მივანეროთ. აღსანიშნავია ის, რომ ვაჟა არ ერიდება, არ მაღავეს საკუთარ შემოქმედებით წყაროებს და ღიად, დაუფარავად საუბრობს იმის შესახებ, თუ რა არის ხალხის კუთვნილება და რა - მისი შემოქმედების ნაყოფი: *„რა მექვს დასამალი და დასაფარი - არაფერი. „სტუმარ-მასპინძლის“ და „გველის მჭამელის“ ვინაობას კი არა, მთელ ჩემ ნაწარმოებს გავაცნობ მკითხველს და ვეტყვი რაა იქ ხალხური და რაა ჩემი საკუთარი, ნაყოფი ჩემის გონებისა და გრძნობისა..“* [ვაჟა-ფშაველა 1986:732-733] ჩვენ უფლება არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მწერლის მიერ მოყვანილი წყაროების სისწორეში. როგორც ვაჟას გულწრფელი მონათხრობიდან ვრწმუნდებით, მას ხალხური თქმულება-გადმოცემები გამოუყენებია, თუმცა ღრმა, შინაარსიან ნაწარმოებებად უქცევია საკუთარი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის წყალობით და უბრალო ფაქტები თუ მოვლენები გამოუყენებია საკუთარი მსოფლმხედველობის გამოსახატავად. პოეტის შემოქმედებითი მუშაობის შრომატევადობასა და სირთულეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას თურმე ორ თვეზე მეტი უფიქრია, თუ რა უნდა ეპასუხა პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ჯოყოლას ნამტირალევი აღაზასთვის, რომელიც ქმარს ეუბნებოდა: *„ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისადაო“* და დღეს ყველასთვის ცნობილია ის საოცარი სიბრძნით, კეთილშობილებით, სიყვარულითა და ჰუმანიზმით აღსავსე სიტყვები, რომლებიც ვაჟამ ჯოყოლას ათქმევინა; *„იტირე?! მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა.“* ამგვარადვე დამაფიქრებელი აღმოჩენილა პოეტისთვის „გველისმჭამელის“ დასასრულის მოფიქრება, რომელზეც ერთი თვე უფიქრია და დიდი შემოქმედებითი შრომა ჩაუდია. ესაა ის ფაქტები, რომელსაც ვაჟა

თავად გვამცნობს. სამწუხაროდ, სამუდამოდ უცნობი დარჩება ჩვენთვის სხვა ნაწარმოებთა შექმნის პროცესში განეული შემოქმედებითი თავდადება და ფიქრი.

ვაჟამ ზემოთ განხილულ წერილში და კიდევ სხვაგან (წერილი „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“) დამაჯერებლად აჩვენა, თუ რა ეკუთვნოდა ხალხს და რა იყო თავად მისი შემოქმედებითი ძიების ნაყოფი, როგორ შეჰქონდა დრამატიზმი მარტივ ხალხურ თქმულებებში და როგორ აფართოებდა მის მსოფლმხედველობრივსა და თემატიკურ ჩარჩოებს.

აკაკი შანიძის წიგნში „ხევსურული პოეზია“ თავმოყრილია ხევსურული ხალხური პოეზიის დიდი მასალა. ამ მასალის მნიშვნელობა განუზომელია ფოკლორისტიკისათვის და განსაკუთრებით საჭიროა იგი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევართათვის, რადგანაც ვაჟა საზრდოობს სწორედ ხევსურული ხალხური პოეზიით. ა. შანიძე ნაშრომის შესავალში საუბრობს ვაჟა-ფშაველასა და ხალხური პოეზიის ურთიერთმიმართების საკითხზე, მწერლის შემოქმედების ფოლკლორულ წყაროებზე და ასახელებს მათ.

აკაკი შანიძის საგულისხმო დაკვირვებით, *„ვაჟა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებათ და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს) ხალხური ლექსის ფორმითვე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს შორდება.“* [ა. შანიძე, 1931:023] მნიშვნელოვანია, რომ აკაკი შანიძის მიერ შეკრებილ მასალებში, როგორც თავად წერს: *„მოიპოვება ზოგიერთი წყარო ვაჟას შემოქმედებისთვის და პარალელები მის მიერ დამუშავებული თემებისათვის.“* [ა. შანიძე, 1931:022] ბახტრიონის აღებისა და ზეზვა გაფრინდაულის ლექსებს რომ თავი დავანებოთ (რომელთა ფშაურ ვარიანტებს როგორც ვაჟას აღიარებიდან ჩანს, თვითონ ვაჟა იცნობს), შეიძლება მივუთითოთ აგრეთვე ლუხუმზე. მკვლევარი ასახელებს #91 ლექსს, რომელიც მისი აზრით, მხოლოდ ზოგადი ხაზებით მოგვაგონებს ვაჟას ლუხუმს „ბახტრიონში“. ვაჟას პოემა „ხის ბეჭი“ აგებულია თქმულებაზე, რომლის ვარიანტიც ამ წიგნშია მოყვანილი (#720). „ძალლიკა ხიმიკაურის შესახებ ამ წიგნში მოიპოვება ხალხური ლექსის ნაწყვეტი(#117). სტუმარ- მასპინძელში რომ ორი თემაა ერთმანეთზე გადაბმული, ერთი

მოვალეობა სტუმრის წინაშე და მეორე - საფლავზე შეწირვის ამბავი, ორივე პარალელს პოულობს ა.შანიძის მასალებში. (#42) „ქისტის საფლავზე ხევსური ზვიადაურის შეწირვა არსებითად იგივეა, რაც თუში ლუის ლუხუმის სამსხვერპლოდ დაკვლა ქისტის საფლავზე“. (#143.) [ა.შანიძე, 1931:023-024]

ა.შანიძის „ხევსურული პოეზიის“ მასალის შეჯერება ვაჟას სათანადო თხზულებებთან კიდევ უფრო ხელშესახებად გაარკვევს ვაჟას თხზულებათა მიმართებას ფოლკლორულ მასალასთან. „ამგვარი მასალის გაცნობის საფუძველზე უნდა მოხერხდეს ფოლკლორული და ინდივიდუალური შემოქმედების ურთიერთმიმართებათა სახეების გათვალისწინება.“ [ი.ევგენიძე, 1989:16]

რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ჯერ კიდევ ვაჟას სიცოცხლეში, ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟას მიმართების საკითხიც დადგა.

1896 წელს უურნ. „კვალში“ გამოქვეყნდა ილია ნაკაშიძის წერილების სერია, რომელიც წარმოადგენდა ვაჟა-ფშაველას პოეზიის კრიტიკული განხილვის ცდას.

თავდაპირველად მკვლევარმა აღნიშნა: „ვაჟა-ფშაველას გამოჩენამდის ქისტ-თუშ-ფშავესურეთი ბნელეთი იყო ჩვენთვის. ამ ერთმა პოეტმა გაგვაცნო მთელი მთიულეთი, გაგვაცნო თავისი მძლავრათ ნაკვეთი ლექსით და ამ ლექსის გმირული შინაარსით. ვაჟა-ფშაველა, ჩვენის აზრით, მთიულეთის სულიერი წინამძღოლია, მისი პოეზიის „მარშალია“, და ვაჟას გრძნობა-მისწრაფებათა გაცნობა მთელი ჩვენი მთიულეთის გულის ძვერისა, მისი სულის მისწრაფების გაცნობაა. ამაში დაგვარწმუნა ჩვენი ფშაური ლექსების და ვაჟა-ფშაველას პოეზიის შედარებამ.“ [ი.ნაკაშიძე, 1895:784]

მნიშვნელოვანი იყო, რომ ილ. ნაკაშიძემ აღნიშნა ვაჟა-ფშაველას სიახლოვე ხალხთან და ხალხურ შემოქმედებასთან: „მის პოეზიას ისე ღრმით აქვს ხალხში გადგმული ფესვები, როგორც მისი სამშობლოს მთებს დედა-მინის გულში, და ამიტომ გვიდგას ვაჟა თვალ-წინ ასე ამყად, უშიშრად და ახოვან-დიდებულად“ [ვაჟა-ფშაველა, 1955:111], მაგრამ ილ. ნაკაშიძემ ვაჟას ეს სიახლოვე ხალხურ შემოქმედებასთან ვინაო მნიშვნელობით გაიგო. კრიტიკოსმა მწერლის უდიდეს დამსახურებად ის მიიჩნია, რომ ვაჟამ მხოლოდ

მთიულეთის ხალხურ ამბებზე აავი თავის ნაწარმოებები: „ვაჟას არც ერთ უცხოელ მწერლობაში არ გადაუხვევია, პირდაპირ თავისი მთიულეთის მწვერვალებით ჩამოსჩქეფა ჩვენ მწერლობაში, „ვითა ზე მთისა წყარომან, მორწყო ყვაველი ბარისა“, და ღირსია ჩვენი განსაკუთრებული ყურადღებისა და პატივისცემისა, როგორც ჩვენი ეროვნული პოეტი“: [ვაჟა-ფშაველა, 1955:111] მართალია, ვაჟამ ფართო საზოგადოებას გააცნო ფშავ-ხევსურთა ცხოვრება და ამით ერის კონსოლიდაციას, მთის ხალხის ცხოვრებაზე ინფორმირებულობასა და პატივისცემასაც შეუწყო ხელი, მაგრამ მის დამსახურებად მხოლოდ ამას ვერ მივიჩნევთ, ეროვნულ პოეტად მხოლოდ ამის გამო კი არა, არამედ მრავალ სხვა მიზეზთა შეჯამებით დავსახავთ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ვაჟამ ფშავ-ხევსურთა სახეებში ზოგადსაკაცობრიო ტიპები წარმოგვიდგინა და ფშავ-ხევსურეთის მთებში კი არ გამოიკეტა, არამედ მთის მწვერვალიდან დასცქეროდა სამყაროს. ილ. ნაკაშიძე აღიარებს ხალხური პოეზიის სიღიადეს და აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიას წორედ ერის გულიდან არის წამოსული და ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის სულიერი განვითარების შესათვასებლად. კრიტიკოსი ფშაურ ლექსებსა და ვაჟას პოეზიას ერთმანეთს ადარებს და ამ გზით ცდილობს დაგვანახოს განსხვავება და მსგავსება ვაჟასა და ხალხურ პოეზიის შორის. იგი აღნიშნავს, რომ ფორმა-გარეგნობით სრული თანხვედრაა ფშაველებისა და ფშაველას ლექსთა შორის. ორივე ერთი ზომისაა, ლექსთ-წყობაც ერთნაირია. მსგავსებაა ასევე, შინაარსის მხრივაც, თუმცა „ფშაველას სულის ჩქეფი უფრო მძლავრია და ამიტომ უფრო შორ-გამსტკვნი“. [ვაჟა-ფშაველა, 1955:112] კრიტიკოსი მკაფიოდ, კიდევ ერთხელ აღნიშნავს და აღიარებს მწერლის ნიჭიერებას: „ვაჟა-ფშაველა, ვიმეორებთ, თავისი მშობელი ხალხის მხოლოდ წინამძროლია, ენითა და აზრითაც. ფშაველას ენა ფშაველთ ენაზე უფრო მაღალ-აზრიანი და დასურათებულია, მაგრამ მათი სიტყვები მაინც ერთ სამშობლოში არიან დაბადებულნი და ერთ შემოქმედების მზის შუქით აღზრდილნი.“ [ვაჟა-ფშაველა, 1955:118] მიუხედავად ამისა, ილ.ნაკაშიძის აზრით, ვაჟას ხანდახან თავის ვაჟა-ფშაველობა ავიწყდება და ნამდვილ ხალხურ სიმებს აუღერებს ხოლმე, ამიტომაც ზოგ შემთხვევაში „ხალხური ენა ვაჟას ენაზე უფრო მძლავრობს და სურათოვნებს, აზრი და კილო კი ერთი და იგივეა ორივეში.“ [ვაჟა-ფშაველა, 1955:118]

კრიტიკოსი მოგვიანებით იმასაც საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ხალხის წარსული ცხოვრება და დღევანდელი დრო მტკიცედ დაკავშირებულია ვაჟას ნაწერებში“, რადგან „ვაჟა ხალხის სულში ჩასახული ძლიერი სტიქიონის პოეტია და ამ ვარემოებაში უნდა ვეძიოთ იმ ძალის საიდუმლო, რომელიც მისი პოეზიიდან გადმოსჩქეფს.“ (ი.ნაკაშიძე, ვაჟა-ფშაველა, სტატია დაბეჭდილია გაზ. „სახალხო ფურცელში, 1915, #348)

ერთი სიტყვით, ილია ნაკაშიძის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის რომ მან პირველმა აღძრა საკითხი ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხურთან მიმართების, უფრო კონკრეტულად, ხალხურთან წილნაყარობის შესახებ.

1913 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა პროფესორ ალ. ხახანაშვილის ნაშრომი „ქართული სიტყვიერების ისტორია“, რომლის ერთი თავი ეთმობა ვაჟას შემოქმედებას. ალ. ხახანაშვილის სწორი შენიშვნით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობა განისაზღვრა არა მხოლოდ მისი ესთეტიკური ღირებულებით, არამედ იმითაც, რომ „ლ. რაზიკაშვილმა ლექსებით და მოთხრობებით ვაკვაცნო ფშავ-ხევსურეთი იმავე პოეტური შემოქმედებით, როგორც ალ. ყაზბეგმა მოხევენი და მთიულეები. თვით მწყემსმა და მხვინელ-მთესველმა, ხალხის რწმენისა და მსოფლიო შეხედულებების მცოდნემ, მკითხველიც ჩაახედა ფშავ-ხევსურის გულში და გადაუშალა თვალწინ საინტერესო და თავისებური ქვეყანა, რომელიც აქამდის მისთვის უცნობი და უტყვი იყო.“ [ვაჟა-ფშაველა, 1955:218]

ალ.ხახანაშვილი განიხილავს ვაჟას პოემებს და აღნიშნავს, რომ რამდენიმე ნაწარმოების წყაროდ ხალხის თქმულება გამხდარა: „ლ.რაზიკაშვილმა რამდენიმე თავის ნაწარმოების წყაროდ გაიხადა ხალხის თქმულება და გარდაქმნა იგი სამხატვრო ქმნილებად.“ [ვაჟა-ფშაველა, 1955:221] კრიტიკოსი ასეთებად მიიჩნევს და ასახელებს პოემა „კოპალას“, „ეთერს“, „ნახევარ-წიწილასა“ და „ხის ბეჭს.“

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იპ. ვართაგავას ვრცელი კრიტიკული ეტიუდი „სიმღერა მთის შვილის - ვაჟა-ფშაველასი“, რომლის ბეჭდვაც ავტორმა 1913 წელის დეკემბრიდან დაიწყო ჟურნალ „განათლებაში“,

ხოლო ცალკე წიგნად 1921 წელს გამოსცა. რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში იპ. ვართაგავას წერილი ყველაზე ვრცელი, მწყობრი და საფუძვლიანი განხილვაა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა, თუმცა, რა თქმა უნდა, რიგი ხარვეზებისა ამ გამოკვლევასაც ახასიათებს.

იპოლიტე ვართაგავა წერილში: „სიმღერა მთის შვილის - ვაჟა-ფშაველასი“ საუბრობს ვაჟას შემოქმედების თავისებურებებზე. წერილი იყოფა რამდენიმე ნაწილად. კრიტიკოსი განიხილავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი დასმულ მნიშვნელოვან საკითხებს: ბუნება ვაჟას პოეზიაში, პირადი გრძნობა და განცდა ვაჟას პოეზიაში, მოქალაქეობრივი მოტივი ვაჟას პოეზიაში, საგმირო ჰანგები ვაჟას პოეზიაში, ძველ გმირთა ტიპები ვაჟას პოეზიაში, თანამედროვე საქართველო და ქართველები ვაჟას პოეზიაში, ვაჟას ფიქრი-იმედი საქართველოს მომავალზე და სხვა... იპ. ვართაგავას წერილში ცალკე თავად არ არის გამოყოფილი ვაჟა-ფშაველას მიმართების საკითხი ხალხურ შემოქმედებასთან, თუმცა იგი ადგილ-ადგილ მაინც გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ ის ნაწილები, რომლებშიც მკვლევარი ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას არკვევს ხალხური შემოქმედებისადმი.

ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებით საინტერესო ისაა, რომ იპ. ვართაგავას თქმით, ვაჟას თითქმის ყველა პოემას საფუძვლად უდევს ხალხური თქმულება: *„ეჭვს გარეშეა, ვიმეორებთ, რომ ვაჟაც უხვად და ხშირად სარგებლობს ხალხში შექმნილ-შენახული ეპიკური მასალით: საგმირო სიმღერებით და თქმულებებით.“* [იპ.ვართაგავა, 1958:109] თუმცა კრიტიკოსი არ ასახელებს ვაჟას სავარაუდო ლიტერატურულ წყაროებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მათ გამომჟღავნება-გამოვლენას.

ჩვენი მსჯელობის საგანი სწორედ ისაა, თუ როგორ აფასებს კრიტიკოსი ვაჟას მიმართებას ხალხურ წყაროებთან. წერილის ერთ-ერთ თავში „პოემა გველისმჭამელი“ იპ. ვართაგავა აღნიშნავს, რომ პოემები „გველისმჭამელი“ და „სტუმარ-მასპინძელი“ *„უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ნაწარმოებად ქართულ ლიტერატურაში; თუმცა ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დედააზრი ამ პოემებისა (უნდა ვიფიქროთ) ხალხის საერთო*

სულიერი ძალითაა გამოჭედილი. მათში გატარებული იდეა ვაჟას გონების სინთეზის ნაყოფს ან ინტუიტურად მის სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენს. ვაჟამ ხალხის მიერ შეზავებულ იდეას მხოლოდ შედარებით შესაფერი სამოსელი შეუკერა, მხოლოდ კობტად მორთო და ლამაზ მხატვრულ ქმნილებად გარდააქცია.“ [ივ.ვართაგავა, 1958:108] კრიტიკოსი თვლის, რომ ფაბულად ხალხისაგან შექმნილი ზღაპარ-გადმოცემის ანდა ლიტერატურაში უკვე შემუშავებული და ცნობილი სიუჟეტის აღება, გალამაზება, გართულება და გარდაქმნა ჩვეულებრივი მოვლენაა და დასაძრახი არ არის. ასე იქცეოდნენ მსოფლიო გენიოსები ჰომეროსი, შექსპირი, გოეთე, დანტე და სხვანი. შემოქმედების ამგვარი მეთოდი გენიოსებს კი არაფერს აკლებს, პირიქით - „პოეტის ძლიერება, მისი შემოქმედების სიგრძე-სივანე, მისი გენიალობა უმთავრესად იმით განიზომება, თუ როგორ ისარგებლა მან არსებული მასალით: გადმოცემით, ზღაპრით, ისტორიული სიუჟეტით; თუ როგორ გარდააქცია „ხელის ხელ საგოგმანებელ“ ობოლ მარგარიტად მარტივი, ბევრს შემთხვევაში პრიმიტიული ფაბულა, არაკი.“ [ივ.ვართაგავა, 1958:108] სწორედ ისაა საინტერესო, რომ ივ. ვართაგავა ვაჟას ზემოთ ხსენებულ გენიოსებთან არ აყენებს და მის მიდგომას ხალხური პოეზიის მიმართ შემოქმედებითს არ უწოდებს: „ვაჟამ კი თავს იდო მათი შემუშავება, ხელოვნურ ფორმაში ჩამოსხმა, მთლიან ნაწარმოებად გარდაქმნა. კარგი, ლამაზი და მხატვრულია ეს ცდა მკოსნისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან, ჩვენის აზრით, მაინც ვერ მოახერხა, - ვერ ვიტყვით - ვერ შეძლო, - მათი რთული, ღრმა და ფართო მხატვრულ ნაწარმოებებად გარდაქმნა-გადადუღება.“ [ივ.ვართაგავა, 1958:109] მეტიც, კრიტიკოსი წერს, რომ ვაჟამ არათუ ვერ გაართულა ხალხის ფანტაზიის ნაყოფი, არამედ მოექცა მისი ზეგავლენის ქვეშ და თავი ვერ დააღწია როგორც იდეის, ისე უფრო მეტად ფორმის მხრივ: „ჩვენმა პოეტმა არამცთუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა, არამედ მას თავიც ვერ დაუღწევია მისი ზეგავლენისათვის როგორც იდეის, ისე მომეტებულად ფორმის მხრივ.“ [ივ.ვართაგავა, 1958:109] კრიტიკოსს აინტერესებს ხალხური პოეზიისა და ვაჟას შედარების გზით, გაირკვეს თუ რა არის მწერლის და რა ქართველი ხალხის სულიერ წიაღში დაბადებული, იმისათვის, რომ „გავიყნოთ იდეური საღარო ჩვენი ერისა, გავითვალისწინოთ მისი შემოქმედების საზღვრები...“ [ივ.ვართაგავა, 1958:109] ივ.ვართაგავა იმასაც ამბობს, რომ

ჩვენ ამას აპრიორულად ვამბობთ და ვიდრე ხალხური მასალა არ ჩაიწერება და არ გამოქვეყნდება, მანამდე რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელიაო. იმ შემთხვევაში კი, თუ ხალხის დამსახურება მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ვაჟა-ფშაველასი რაც მგოსნის პირად დიდებას დააკლდება, ის მიემატება მის სათაყვანებელ ერის გენიას.

როგორც ზემოთ თქმულიდან დავინახეთ, იპ. ვართაგავა ვაჟა-ფშაველას ხალხური შემოქმედების უბრალო გადამღებად მიიჩნევს და არა შემოქმედ-გარდამქნელად.

ვაჟა-ფშაველა მკაცრად გამოეპასუხა ი.ვართაგავას ამ მსჯელობას წერილით „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“. ვაჟა დასაწყისშივე აღნიშნავს: *„უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, ამრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დანერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.“* [ვაჟა-ფშაველა, 1989:732] მწერალს მაგალითები მსოფლიო ლიტერატურიდან მოყავს. ასახელებს შექსპირს, გოეთეს, რომელთა ნაწარმოებები ხალხურ თქმულებებზეა აგებული, თუმცა იმავე ხალხურ თქმულებები ბევრ სხვას გამოუყენებია და იმგვარი აღიარება ვერ მოუპოვებია, როგორც ზემოთ აღნიშნულ გენიოსებს. ამის მიზეზად ვაჟა მიიჩნევს შემოქმედებით მიდგომას ფოლკლორისადმი: *„საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.“* [ვაჟა-ფშაველა, 1989:732] მწერალი საოცარ თავმდაბლობას იჩენს და საკუთარ თავს მსოფლიო გენიოსებთან ვერ მოიაზრებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მათ გავს ერთი ნიშნით: *„ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა.“* [ვაჟა-ფშაველა, 1989:732] ვაჟა, რა თქმა უნდა არ მალავს და აღიარებს თავისი შემოქმედების მჭიდრო კავშირს ფოლკლორთან, თუმცა, როგორც დავინახეთ, მკათიოდ აღნიშნავს მეთოდს, რომლითაც იგი უდგება ხალხურ პოეზიას, ესაა შემოქმედებითი მიდგომა და არაავითარ შემთხვევაში პირდაპირ გადმოღება: *„ჩემი პოემები თითქმის ყველა სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე დაფუძნებულნი, თვითვეულნი მათგანი სხვა და სხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება*

დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მაგეთ ე.ი. ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია....“ [ვაჟა-ფშაველა, 1989:733-734]

ამგვარი მსჯელობის შემდეგ ვაჟა-ფშაველა უშუალოდ თავის ნაწარმოებების ხალხურ წყაროებს ასახელებს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

მეორე წერილი, რომელიც მნიშვნელოვანია ვაჟას ფოლკლორისადმი დამოკიდებულების გასაკრკვევად, არის „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. წერილში ვაჟა მსჯელობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ და ასეთ მნიშვნელოვან მოსაზრებას გამოთქვამს: „რაც არ უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანქანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეგელილს ადამს, და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულსა, არაფერი გამოვა..“ [ვაჟა-ფშაველა, 1989:717] შემდეგ კი ვაჟა კვლავ აღნიშნავს: „თუ უნდა პოეტს, რომ ლეგენდიდამ ხელოვნური ნაწარმოები შექმნას. ლეგენდა უსათუოდ თავისებურად უნდა შეიმუშაოს, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად გახადოს, გადააქციოს, როგორც უკვე ზევითაც ვსთქვით.“ [ვაჟა-ფშაველა, 1989:717] ვაჟა ამ მოსაზრების არგუმენტად ფაუსტს ასახელებს. ამ ლეგენდას ბევრი ავტორი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ გოეთემ შეძლო ლეგენდიდან შედეგრის შექმნა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და უკვდავი გახდა. მწერლის აზრით, ასეთია ჭეშმარიტი შემოქმედის ბუნება, რომელიც ლეგენდას, თესლს საკუთარ შემოქმედებით ნიადაგზე თესავს და ამრავლებს, შემდგომ კი კაცობრიობას უკვდავყოფილ ლეგენდას უტოვებს. მაშასადამე მნიშვნელოვანი თავად შემოქმედის ნიჭიერებაა და არა ლეგენდა, თუმცა ლეგენდაც საჭირო მასალაა მწერლისათვის.

მესამე წერილი, რომელშიც ვაჟას ჩვენი თემისთვის მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული, არის „PRO DOMO SUA“. მწერალი საუბრობს ლიტერატურული გავლენების ავ-კარგიანობაზე და გამოთქვამს აზრს, რომ „შემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ

ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა. რამ უნდა ააჟღეროს მისი ჩანვი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, ვარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამალეღვებელი, ან ბუნების მოვლენათ მოუყრუა ყური? აი ეს ვარევანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვია და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლობორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს.“ [ვაჟა-ფშაველა, 1986:659-660] ამ ზოგადი შეხედულების შემდეგ, ვაჟა საკუთარ თავზე გვესაუბრება: „ჩემზე უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს, რაც კარგი და ხელოვნური რამ დანერილა, გემოქმედება, ძალა ჰქონია, ალტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია.“ [ვაჟა-ფშაველა, 1986:660] ამგვარ გავლენებს იგი სრულიად ბუნებრივად თვლის და აღიარებს, არ მალავს, რომ ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი იცოდა და უყვარდა ეს კილო, ხალხურ პოეზიას მის გულში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა: „თქვენს უმორჩილეს მონაზე- ვაჟა-ფშაველაზედაც უნდა მოგახსენოთ, დიდი გემოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გავიწილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული.“ [ვაჟა-ფშაველა, 1986:661-662]

აღნიშნულ წერილებში ვაჟა-ფშაველა ფოლკლორულ მასალასთან მიდგომის საკითხთან დაკავშირებით გამოთქვამს ზოგად მოსაზრებებს. როგორც ვხედავთ, იგი თავისუფალი, შემოქმედებითი მიდგომის მომხრეა. მისთვის მასალაა ხალხური პოეზია, თქმულებები თუ ლეგენდები, რომლებსაც საკუთარ სულიერ ქერაში ადნობს და ახალ სიცოცხლეს აძლევს. ასე იხადებოდა მისი ღრმა იდეურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებები, რომლებმაც სამუდამო ბინა დაიდეს მკითხველთა გულში. სწორედ ისაა ვაჟას გენიალობა, რომ იგი შემოქმედებითად უდგებოდა ფოლკლორულ მასალას და არ ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ.

ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი, ვაჟას ხალხურ პოეზიასთან მიმართებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა ვაჟას სიცოცხლის ბოლო წლებსა და მისი გარდაცვალების დღეებში.

1915 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს ილია ფერაძის კრიტიკულ ესკიზებს, რომლებშიც ავტორი ეხება ვაჟა-ფშაველას ორ პოემას: „ბახტრიონსა“ და „გოგოთურ და აფშინას“. აღსანიშნავია ის, რომ ილია ფერაძემდე თითქმის არავის არ მოუცია ამ პოემების ამგვარი ვრცელი კრიტიკული მიმოხილვა. კრიტიკოსს ვაჟა-ფშაველას უდიდეს დამსახურებად მიაჩნია ის, რომ პოეტი თავის შემოქმედებაში მკაფიოდ გადმოგვცემს თუშ-ფშავ-ხევსურთა მსოფლმხედველობას: *„ვაჟა-ფშაველა თავის პოეტურ ნაწერებში წმიდა და ღრმა ქართული ენით გამოხატავს მთიელთა (თუშ-ფშავ-ხევსურთა) სოფლმხედველობას და მათს წარსულს დიდებას, მათს გარდმოცემებს, საუკეთესო ზღაპარ-თქმულებებს“, მაგრამ ვაჟას შემოქმედება სცილდება როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ისე საერთოდ საქართველოს ფარგლებს, რადგან „მის მიერ გადმონაცემში ერთსა და იმავე ღროს ჩქასოვილია საერთო-საკაცობრიო მისწრაფებანი და იდეალებიც“* [ვაჟა-ფშაველა, 1955:330] ვფიქრობთ, ყველაზე სამართლიანი შეფასება ვაჟას შემოქმედებისა სწორედ ესაა. იგი არ ზის ჩარჩოებში, როგორც სხვა კრიტიკოსებს ეგონათ და მით უმეტეს მხოლოდ მთიელთა ამბების გადმოცემა არ აქვს მიზნად, იგი ქმნის მსოფლიო ტიპებს.

ილ.ფერაძე აღნიშნავს, რომ ვაჟა ქართველი ერის სულიერი მემკვიდრეა და ქართულ ნიადაგზეა გაზრდილი, ამიტომაც მისი მსოფლმხედველობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის მსოფლმხედველობასთან: *„პოეტი საქართველოს შვილია, ქართველი ერის ძე. ამის გამო იგი სდგას უმთავრესად ქართულს ნიადაგზე და თავისს ღვთიურს ჩანვს ამღერებს საქართველოს ლაშქარდოვანი და ხავერდოვანი ცის ქვეშ; მის სხეულში მოქმედებს ქართველური სული, რომელიც თავისი მისწრაფებით და სოფლმხედველობით შეკავშირებულია ქართველი ერის სულიერს ბუნებაში ჩამალულს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულს სოფლმხედველობასთან...“* [ვაჟა-ფშაველა, 1955:331]

მკვლევარი არ უარყოფს ვაჟას მჭიდრო და უშუალო კავშირს ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან: *„ვაჟამ არ დასტოვა შეუმჩნევლად არც ერთი საყურადღებო ისტორიული გარდმოცემა, არც ერთი ღრმა აზროვანი ზღაპარი და მოვლენა, რომელიც*

კი დაცული იყო მის მთავორიანს სამშობლოში...“; [ი.ბოცვაძე, 1955:331] მაგრამ ამ შემთხვევაში იგი იპ. ვართაგავასგან სრულიად სანინაალმდეგო შეხედულებას ავითარებს. თუ იპ. ვართაგავას აზრით, ვაჟამ ვერ მოახერხა ხალხური მასალის გარდაქმნა რთულ, ფართო და ღრმა მხატვრულ ნაწარმოებებად, ილ.ფერაძე ფიქრობს, რომ პოეტმა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს „შთაბერა პოეტური სული, - მის ჩონჩხს შეაბა არა თუ ხორცი, არამედ იგი განაცხოველა უკვდავი სულით და მოგვცა მრავალი მარგალიტი პოეტურ ნაწარმოებთა, რომელთა მეოხებით გამდიდრდა ქართული მწერლობა და გამომზეურდა ის კეთილნი გრძობანი და მისწრაფებანი, რომლითაც დაჯილდოვებულია ჩვენი ერი...“ [ი.ბოცვაძე, 1955:331]

ალ.ხახანიშვილმა აღნიშნა: „ლ.რაზიკაშვილმა რამდენიმე თავის ნაწარმოების წყაროდ გაიხადა ხალხის თქმულება და გარდაქმნა იგი სამხატვრო ქმნილებად. ამგვარია მაგ., პოემა „კოპალა“ და „ეთერი“. [ალ.ხახანიშვილი, 1913:206]

ვაჟას შემოქმედებითი ფანტაზიისთვის მითოსისა და ხალხური შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ს.ნარდიონი: „მრავალი ჩვენი მგოსანი კვებავდა თავის ფანტაზიას ხალხური ზღაპრებით, თვისებებითა და წრამოდგენებით; მაგრამ ყველაზე უფრო მათ შორის ვაჟა-ფშაველა სწვდა ხალხის „კოლექტიურ სულს“, მან ყველაზე კარვად გამოკვება თავისი ფანტაზია ხალხის მეხსიერებაში შენახული მითებითა და ლეგენდებით.“ [ს.ნარდიონი, 1915:#143]

1915 წელს გ.ქიქოძემ აღნიშნა, რომ „ფანტაზიის სიძლიერე და ნათელმხედველობა ვაჟა-ფშაველას ნიჭის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა. მისთვის არ არსებობდა არავითარი საზღვარი ლეგენდასა და სინამდვილესა, მითსა და ისტორიას შორის, სიზმარსა და სიფხიზლეს შორის.“ [გ.ქიქოძე, 1928:11]

დაახლოებით ასე წარმოგვიდგინა ქართულმა სალიტერატრო კრიტიკამ ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა 1886-1915 წლებში. ამგვარი იყო პაექრობა კრიტიკოსთა შორის და აზრთა სხვადასხვაობა ვაჟას შემოქმედების თავისებურებებზე. აღნიშნული კრიტიკული მოსაზრებები გასათვალისწინებელია ვაჟას სრულყოფილად შესასწავლად.

მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია იმის გამო, რომ ვაჟამ თავადაც გასცა პასუხი დასმულ კითხვებსა და შემოქმედებითი თვალსაზრისით საჭირობოროტო საკითხებზე.

არც ვაჟას სიცოცხლის პერიოდში და არც შემდეგ არ შენელებულა ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ და კრიტიკოსები ყოველთვის მსჯელობდნენ ვაჟას შემოქმედების თავისებურებებსა და დამახასიათებელ ნიშნებზე. XX საუკუნის 40-50 წლებშიც მკვლევრები აქტიურად მუშაობდნენ ვაჟას შემოქმედებაზე და ბევრი ლიტერატურათმცოდნეობისათვის ყურადღება მისაქცევი დასკვნაც გამოიტანეს. გამოქვეყნდა მ. ზანდუკელის (1953წ.), გ. ჯიბლაძის (1955წ.), ა.მახარაძის (1955წ.), დ. ბენაშვილის და სხვათა ვრცელი შრომები, რომლებშიც მწერლის შემოქმედების სხვადასხვა მხარეა გაშუქებული.

ქართველმა ფოლკლორისტებმა დაბეჭდვით იწყეს კვლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროებისა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ კოტეტიშვილის მითითებები ვაჟას შემოქმედებითი პროცესების ბუნების შესახებ. მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავდა, *„როგორი იყო ვაჟას შემოქმედებითი პროცესი“*. მისი სიტყვებით, *„ავტორის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის გაბმულია შინაგანი კავშირი, რომელიც პირველ შეხედვაზე არ ჩანს.“* [ვ.კოტეტიშვილი, 1959:581]

როგორც უკვე აღინიშნა აკაკი შანიძის შედგენილ „ქართულ ხალხურ პოეზიაში“ ბევრი საყურადღებო ცნობაა მოწოდებული და ბევრ წყაროზეა მითითებული.

ბუნებრივია, დგას აუცილებლობა ვაჟას შემოქმედების ცალკეული ნიმუშების შედარებისა ფოლკლორულ წყაროებთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესო და საგულისხმო სამუშაოებია ჩატარებული მ.ზანდუკელის, მ.ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის და სულ ბოლოს თ. ქურდოვანიძის მიერ.

მ.ზანდუკელი ვაჟა-ფშაველას ხალხურ შემოქმედებასთან მიმართების თვალსაზრისით საგულისხმო დასკვნებს აკეთებდა. იგი წერდა: *„თვით შემოქმედების პროცესში ვაჟა-ფშაველა ხალხის ყოფისა და მის სულიერ საუნჯეს სჭვრეტდა მხოლოდ როგორც საგანს, მასალას და აქედან ის თავის სურვილისამებრ სულ სხვა, ახალ თავის სამყაროს ჰქმნიდა.“*

[მ. ზანდუკელი, 1953:279] ამ აზრის საილუსტრაციოდ მ.ზანდუკელი ხალხურ მასალას უღარებს ვაჟას „მოხუცის ნათქვამს“, კაი ყმის ხალხურ ვარიანტებს - ვაჟას „კაი ყმას“.

მიხ.ჩიქოვანი ვაჟა-ფშაველასა და მთის პოეზიის განხილვისას აღნიშნავს: „რაც შეეხება ფოლკლორის პოეტურ გადამუშავებას, მართალია, იგი აღმოცენდება ხალხური პოეზიის ღრმა გავების საფუძველზე, მაგრამ მწერალი ტრადიციულ გადმოცემას ისეთნაირად გარდაქმნის, რომ ახალ ხელოვნურ ნაწარმოებს ვღებულობთ. ცხადია, ამგავრი ნაწარმოები გამოდის ფოლკლორის სფეროდან და ლიტერატურას განეკუთვნება.“

[მიხ.ჩიქოვანი, 1956:6] მკვლევარი პოემა „ბახტრიონის“ ხალხურ-პოეტური წინამძღვრების განხილვის დროს იმასაც წერს, რომ „დიდი ორიგინალობითაა დამუშავებული ფშავ-ხევსურთა ლაშქრის მეთაურის - ლუხუმის თავგადასავალი.“ [მიხ.ჩიქოვანი, 1956:50]

მიუხედავად ამისა, მიხ.ჩიქოვანი ერთგვარ რევიზიას ახდენს ვაჟას აღიარებისას: კვირია და ლელა საკუთრივ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, გადმოცემებით და ისტორიულად არაა დადასტურებული, რომ ქალს რაიმე როლი ეთამაშოს ბახტრიონის ციხის აღებაში. მიხ. ჩიქოვანი ფიქრობს, რომ „კვირიას და ლელას სახეები გვხვდება ხევსურულ და ფშაურ პოეზიაში, რომ ვაჟას „ბახტრიონის“ ყველა გმირს პროტიტიპი მოეპოვება ხალხურ პოეზიაში.“ [მიხ.ჩიქოვანი, 1956:53] აღნიშნულ საკითხს განიხილავს და მიხ. ჩიქოვანის მოსაზრებას აკრიტიკებს მკვლევარი დავით წონოკოლაური [დ.წონოკოლაური, 1983:217]

ქს. სიხარულიძის დასკვნით „ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენების შემთხვევაში ვაჟა მეტად ორიგინალურია.“ [ქს.სიხარულიძე, 1956:213]

განსხვავებულია ს. ჩიქოვანის მიდგომა. ის ეძებს საერთოს ვაჟასა და ხალხურ შემოქმედებას შორის პოეტური აზროვნების წყობაში: „ვაჟა-ფშაველა ყველაზე უფრო ახლოა ხალხური პოეტური აზროვნების ფორმებთან და ხალხური პოეტური მეტყველების სათავეებთან.“ [ს.ჩიქოვანი, 1963:289] სამწუხაროა, რომ ეს აზრი მკვლევარს არ აქვს დასაბუთებული კონკრეტული მასალით.

დ.ბენაშვილი ვაჟას შემოქმედების შესახებ აღნიშნავს: „ყოველი ნაწარმოების ვარიანტებს ეტყობა დიდი შემოქმედის ხელი, დაფიქრებული სიტყვის ოსტატის მარჯვენა.“ [1961:539]

მიხ.კვესელავა წერს, რომ ვაჟასთვის „თემის ზნე-ჩვეულებანი, მითები თუ ლეგენდები ასახვის ობიექტი კი არ არის... არამედ მასალა დიდი, ზოგადსაკაცობრიო იდეების გამოსახატავად. ვაჟა ყველაფერს იყენებს იმისათვის, რომ გამოსახვის მეტი ძალა და ფერადოვნება მისცეს თავის მხატვრულ ნაწარმოებს. ამისთვის მიმართავს ის ძველ მითებს და ლეგენდებს, ეთნოგრაფიულ მასალას, ფშაველებისა და ხევსურების ადათ-წესებსა და მთიელთა ყოფის სხვა კოლორიტულ სურათებს.“ [მიხ.კვესელავა, 1961:113]

თ.ჩხენკელი ინტერესდება იმით, რომ გაარკვიოს „იმ ეთნიკურ-მითოსური მასალის რაობა, რომლის გათვალისწინების, გაღრმავებისა და პოეტური ტრანსფორმაციის მეშვეობითაც დაგვიხატა ვაჟამ თავის გმირთა კათარზიკული ხასიათის ვნებანი.“ [თ.ჩხენკელი, 1971:18]

ს.ცაიშვილს, შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესო და საგულისხმო პარალელები აქვს შენიშნული ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ზოგიერთი პასაჟისა ხალხური შემოქმედების ნიმუშებთან.

ერთი სიტყვით, მკვლევარ-ფოლკლორისტთა ძირითადი მუშაობა წარიმართა ვაჟას პოემების წყაროთა დაძებნა-შეკრების და ვაჟას ნაწარმოებებთან შედარების საფუძველზე: რა მოაკლო, რა ჩაუმატა პოეტმა ხალხურ წყაროს. ძირითადად მკვლევრები ამ შემთხვევაში შემოიფარგლენ აღწერითი ხასიათის სამუშაოებით.

როგორც ჩანს, ვაჟას სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან უფრო და უფრო იზრდებოდა ინტერესი მისი შემოქმედებითი გზებისა და ისტორიისადმი, მაგრამ კვლავ დაუძლეველ ამოცანად რჩებოდა იმ არსებითი ნიშნების გამოყოფა, რომლებიც განასხვავებდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ფოლკლორული მასალისაგან. ნაშრომის მიზანი კი სწორედ ისაა, დავახასიათოთ ეს ნიშნები ვაჟას პოემათა ანალიზის საფუძველზე და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ცხადვყოთ ფოლკლორულ მასალასთან ინდივიდუალური შემოქმედის, გენიალური პოეტის - ვაჟა-ფშაველას მიმართების თავისებურებანი.

თავი II

ვაჟა-ფშაველას თხზულებების ხალხურ გადმოცემა-თქმულებებთან მიმართების თვისობრივი მხარე

1945 წელს დისერტაციად იქნა დაცული, ხოლო 1957 წელს მოხერხდა წიგნად დასტამბვა გრ. კიკნაძის მონოგრაფიის „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, რომელიც არის ფუნდამენტური გამოკვლევა და პრაქტიკულად მისით იწყება ახალი ეტაპი ვაჟას შემოქმედების მეცნიერული კვლევისა, კერძოდ ეს ეხება ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟას მიმართების საკითხსაც, საზოგადოდ ინდივიდუალური შემოქმედის ქმნილების მიმართებას ხალხური შემოქმედების ნიმუშთან.

როგორც ითქვა ადრე კრიტიკოსები, მკვლევრები იფარგლებოდნენ ვაჟას შემოქმედების ხალხურთან მიმართების ზოგად მხარეზე მითითებით, ზოგჯერ მახვილგონივრული მინიშნებებითაც, მაგრამ ყველაფერი მაინც განცხადების სახით იყო წარმოდგენილი.

შემდგომ და შემდგომ განსაკუთრებით ფოლკლორისტი მკვლევრები მიმართავდნენ მასალის მოძიება-შეკრებას და ვაჟას ნაწარმოებებთან შედარებას, რა აიღო ვაჟამ ხალხური წყაროდან, რა გამოაკლო და რა ჩაუმატა. საკითხის თვისობრივი მხარე კი ჯერ-ჯერობით ღია რჩებოდა.

აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ნათქვამი იპოლიტე ვართაგავასადმი მიმართულ კრიტიკულ წერილში, - თუ კარგი კრიტიკოსია თვითონ უნდა მიხვდეს რა ეკუთვნის ხალხს და რაა საკუთრივ ჩემიო.

სწორედ გენიალურმა ვაჟამ დაუსახა ლიტერატურათმცოდნეებს ამოცანად თვისობრივი განსხვავების ჩვენება ხალხური შემოქმედების ნიმუშსა და დიდი ხელოვანის ინდივიდუალური ნიჭის ნაღვანს შორის.

გრიგოლ კიკნაძე იყო ის პირველი მკვლევარი, რომელიც ამ პრობლემას შეეხო და თვისობრივ განსხვავებებზე ვაჟას თხზულებებსა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშს შორის მკაფიოდ, კონკრეტულად მიუთითა.

მკვლევარი თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ხალხის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს ახასიათებს ზედმეტი დეტალიზაციისაგან თავის არიდება, „რადგან დეტალების გამოტანა-გამომზეურება დიდ ხანსა და შემოქმედთა თანაბარი დაკვირვების უნარს გულისხმობს; ამასთანავე, დეტალიზაცია ეურჩება შეუთანხმებლობას ამბის განვითარებაში; აქედანვე გამომდინარეობს მივიწყება განვითარების რომელიმე ხაზისა და ამბავთა თხრობის ისეთი დამთავრება, რომელიც ჩვენი გონებისათვის ყოველთვის მოსალოდნელი და დამაკმაყოფილებელი არ არის.“ [გრ.კიკნაძე, 1989:165] ფოლკლორული და ინდივიდუალური ნაწარმოებების ძირითადი მახასიათებელი თვისებების ჩამოთვლის შემდეგ ავტორი ერთმანეთს უდარებს ვაჟას ნაწარმოებთა დამახასიათებელ ნიშნებსა და მათი ფოლკლორული წყაროების დამახასიათებელ ნიშნებს, რათა მკაფიოდ გამომჟღავნდეს მსგავსება-განსხვავება მათ შორის.

პირველი ნიშანი, რაც ფოკლორულ ქნილებებს ახასიათებს, ხოლო ვაჟას შემოქმედებას - არაა, არის ამბავთა გადაუმელობა, ხარვეზიანობა თუ ფრაგმენტულობა. ფოლკლორულ ქმნილების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „ამირანი“, რომელსაც ახასიათებს ფოლკლორულ ქმნილებათა საზოგადოდ დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული ნიშანი: ყველა ამბავი, ყველა ეპიზოდი არაა ურთიერთმეთანხმებული, ამბავთა ჯაჭვი თანმიმდევრობისა და ურთიერთგამომდინარეობის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ხოლო ვაჟას თხზულებებში „ხარვეზებისა და გადმოცემის უსისტემობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ვაჟას ინდივიდუალურმა ნიჭმა ამ მხრივაც მოიყვანა წესრიგში ხალხური მასალა;“ [გრ.კიკნაძე, 1989:167]

მეორე ნიშანი, რომელიც ამჯერად ვაჟას ქმნილებებს ფოლკლორულ მასალასთან ამსგავსებს არის - ხალხური ქმნილებისათვის დამახასიათებელი გულუბრყვილობა, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით, - აღნიშნავს გრ.კიკნაძე. გულუბრყვილობა მჟღავნდება „მიუკიბავ გამოთქმებში, საგნისათვის თავისი სახელის წოდებაში და მისადმი დამოკიდებულების დამყარებაში, ხშირად, პირველი შთაბეჭდილების მიხედვით.“ [გრ.კიკნაძე, 1989:168]

როგორც ვრ. კიკნაძე მიუთითებს, დიდი ნიჭია საჭირო პოეტისთვის, რათა ჭეშმარიტად ბავშვური ხალხური გულუბრყვილობა თავის საკუთრებად აქციოს და მკითხველის მოხიბლოს ისე, რომ ფანტაზია არასწორი, მახინჯი გზით არ წარიმართოს. სწორედ ასეთად მიიჩნევს იგი ვაჟა-ფშაველას.

ხალხური ნაწარმოების გულუბრყვილობა მულავნდება ასევე გმირთა შინაგანი სამყაროს დახასიათებაშიც. როგორც გამოკვლევებმა (შედარებულია ხალხური შემოქმედება და ინდივიდუალური) აჩვენა, ხალხურ შემოქმედებაში სულიერ თვისებებზე მითითება ხდება ირიბად, „*ობიექტის გარეგნობისა და ქცევის ჩვენების გზით და არა ობიექტის სულიერი თვისებების პირდაპირი და გაშლილი დახასიათების გზით.*“ [ვრ.კიკნაძე, 1989:170] ხალხურ შემოქმედებას არ ახასიათებს მხატვრულისათვის დამახასიათებელი სულიერი დრამატიზმისა და კოლიზიების აღწერა, იგი გმირის სულიერ ვითარებას მის საქციელზე მითითებით გადმოგვცემს. აღნიშნულის ნიმუშებად შეგვიძლია მოვიყვანოთ „*არსენას ლექსი*“ და თქმულებები ამირანზე. ვაჟა კი ორივე ზემოთ აღნიშნულ ნიშან-თვისებას იყენებს თავისი შემოქმედებისათვის და სწორედ ამ გაორმაგებული ძალით აღწევს მიზანს: „*ვაჟა თავის პოეზიაში იმ მხრივ მისდევს ხალხურ შემოქმედებას, რომ გარე თვისებების მიხედვით მიუთითებს გმირის სულიერ მოძრაობაზე და უკანასკნელის საკუთრივ დახასიათებასაც გვანჯდის.*“ [ვრ.კიკნაძე, 1989:170]

მესამე თვისება, რაც ხალხურ თხზულებებს ახასიათებს არის ისეთი მოტივის შემოტანა, რომლისთვისაც არ არის შემზადებული ნიადაგი ინდივიდუალური გონების თავლასზრისით. ნათქვამის არგუმენტად, ვრ. კიკნაძეს მოჰყავს ხალხური ლექსი:

„ხაძის ხაბირიკაო, ყველა გრისხევდას ჯვარია!

დანდობით დაალევიენ არხოტ ნარჩევი ემანია,

განწყვეტიენ ოროლნი ქარჩაის შვილნი ძმანია,

მზირი შახყარე მზირზედა, დიდი დგას ცოდო-ბრალია.

დილისად, გათენებისად ხოშარდალოს ხყავ მკვდარია.“ (ა.შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. III, #245.)

აღნიშნულ ლექსის მიხედვით, მკვლევარი დასძენს, რომ ხალხური შემოქმედება მაინცდამაინც არ მიისწრაფვის ნათელყოს პერსონაჟები და ლექსში აღწერილი საქციელის გამომწვევი მიზეზი.

ამ და სხვა ნიმუშების საფუძველზე, გრ. კვიციანი ასკვნის, რომ „ხალხური პოეზია თავის ცალკეულ ქმნილებებში ბოლომდე არ მისდევს გარკვევის პრინციპს. იგი საერთოდ ხალხის მესხიერებას ეყრდნობა და არ იჩენს, თუ შეიძლება ითქვას, ინდივიდუალური მესხიერებისათვის ანგარიშის განწვევის ტენდენციას.“ [გრ.კვიციანი, 1989:171]

ინდივიდუალურ შემოქმედებას კი ახასიათებს განსხვავებული ტენდენცია, რომელიც მულავენდება ამბის დასრულებისაკენ მისწრაფებაში და პოეტის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობაში. ვაჟა-ფშაველა ამ შემთხვევაშიც აერთიანებს ხალხურ და ინდივიდუალურ შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ამ ორ განსხვავებულ ნიშან-თვისებას. მკვლევარი წერს: „ვითარცა ინდივიდუალური სახის მეორე ხელოვანი, იგი ამბის გადმოცემისათვის საჭირო მშენიერ ფონს ქმნის ხოლმე, გმირთა დანჯარილებით დახასიათებას მიმართავს, მაგრამ, ხშირად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოებს ისე ამთავრებს, რომ მენყვეტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ამას ჩვენ არ აღვიქვამთ როგორც ნაკლს: პოეტის მეტყველებით „დაუმთავრებელ ამბავს“ ჩვენი წარმოსახვის უნარი აგრძელებს და ამით პოეტი დაუსრულებელი ტკობის შთაბეჭდილებით გვავესებს.“ [გრ.კვიციანი, 1989:172]

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ხალხურს მხოლოდ ლექსიკით სარგებლობის გამო ვერ ვუნოდებთ. მნიშვნელოვანია ის, რომ მასში ერთიანდებოდა თავისუფალი, დაუძაბავი, ბუნებრივი ხალხური ენობრივი და მხატვრული გენია. ვაჟას გენიოსობა სწორედ ისაა, რომ იგი სიტყვიერ მასალას არ იყენებს რაიმე მიზნის მისაღწევად, არ ექცევა ხალხური მეტყველების გავლენის ქვეშ და უბრალო გამმეორებლად არ გვევლინება, მასშია ხალხური მეტყველების პოტენციური ძალა. ასეთი ნიჭი „ხალხურ მეტყველებას რომელიმე ინტელექტუალური მიზნით არ იყენებს. ასეთი ნიჭი თვით ხალხური ნიჭია. ამ

ნიჭით იყო დაჯილდოებული ვაჟა-ფშაველა. ამიტომ იგი უბედნიერესი პოეტია სახალხო პოეტთა შორის.“ [გრ.კიკნაძე, 1989:173]

გრ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ ვაჟას დამოკიდებულების გასარკვევად ხალხური შემოქმედებისადმი მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალას იძლევა ნაწარმოებები, რომლებიც ვაჟამ უშუალოდ ხალხურ გადმოცემა-თქმულებებზე ააგო, თუმცა ამ ნაწარმოებთა აღწერითი (ვაჟასეულ შესწორებათა გამომზეურება, არქიტექტონიკური მსგავსება-განსხვავების ჩვენება) კვლევა საკმარისი არაა და ის მხოლოდ მასალას წარმოადგენს. გრ. კიკნაძე კი ხალხური მასალას და ვაჟას შემოქმედებას ერთმანეთს უდარებს მხატვრული აზრის ცვლილების ნიშნით. მაგალითისათვის მკვლევარს მოჰყავს ვაჟას „ეთერი“ და ადარებს ხალხურ „ეთერიანს“. პირველი განსხვავება ისაა, რომ ვაჟას გმირი საუბრობს ფსიქოლოგიურ ენაზე: „რატომ არ ჰფიქრობ“, „ვაი თუ მალე მოგწყინდე“, ხოლო ხალხურ „ეთერიანში“ განცდების ენა წამყვანი არაა. მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ვაჟას და საზოგადოდ ინდივიდუალურ შემოქმედებას ახასიათებს შემდეგია: *„ინდივიდუალური ხელოვნება სულის მოძრაობას მხედველობიდან არ უშვებს და მისი გადმოცემა ამ ხელოვნების უპირატეს და მოუბეზრებელ ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ, გარდა ამისა, ინდივიდუალური შემოქმედება თავის ძალას დეტალების გადმოცემისაკენ, თვისებათა დანვრილებითი აღწერისაკენ მიმართავს.“* [გრ.კიკნაძე, 1989:174] აღნიშნულის დასასაბუთებლად მკვლევარს მოყავს ნაწყვეტები ვაჟას „ეთერიდან“:

„შავია, როგორც ნახშირი,

როგორც ფისი და კუპრია,

.....

თვალეები ცეცხლისა უსხდა,

კბილეები ჰქონდა მინისა,

ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა

ტყავად ფურცელი რკინისა;

ფეხები ჰქონდა კაცისა,

ხელებად ბჯლები ციცისა,

და თმის მაგივრად, სულძალლსა,

მოკლე ფათარი კვიცისა.“

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების უკეთ წარმოსაჩენად გრ. კიკნაძე ერთმანეთს უდარებს ვაჟას პოემას „ხის ბეჭი“ და ხალხურ თქმულებას „ბითირის ამბავი“. ამ თქმულებაში ამბავი ცენტრშია დაყენებული და ხალხი არც მოქმედების ფონის დეტალებს აღწერს და არც გმრის სულიერ მდგომარეობას ახასიათებს. სხვა ვითარებაა ვაჟას პოემა „ხის ბეჭში“. პოემა ჯერ გარემოს დეტალებს აღწერს და შემდეგ ამ გარემოს როსტომის მრისხანებას და თან ქალურ სინაზეს აღარებს. პოეტი დანვრილებით აღწერს მონადირეს, მის აღჭურვილობას, მის ფიქრებს და სხვა დეტალებს. ასეთი თხრობის მანერა: დეტალების გადმოცემა და ნიადავის მომზადება ამბის დასაწყებად, დამახასიათებელია საზოგადოდ პოემისათვის. სწორედ ეს განასხვავებს ვაჟას ამ თხზულებას ხალხური ქმნილებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმეტესად იდენტურები არიან ამბის მხრივ.

კიდევ ერთი ნიშანი, რომლითაც ვაჟა ხალხური შემოქმედებისაგან განსხვავდება არის ის, რომ იგი ხშირად თემატურად ამოდის ხალხური პოეზიიდან, თუმცა უფრო ფართო კომპოზიციას ქმნის. ამის მაგალითია - ხალხური ლექსი და ვაჟას „ბაკური“.

შესადარებელი მასალის კვლევის შემდეგ, მეცნიერი აკეთებს დასკვნას: *„ერთი სიტყვით, ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ იგი არ მიმართავს დეტალების შემცველ თხრობას, მაშინ როდესაც ინდივიდუალური შემოქმედების პროდუქტისათვის სწორედ ესაა არსებითი. ამითაც განსხვავდება შემოქმედების ეს ორი ფორმა ურთიერთისაგან.“* [გრ.კიკნაძე, 1989:176]

შემდეგი ნიშანი, რომელიც განასხვავებს ინდივიდუალურ და ხალხურ შემოქმედებას, არის ის, რომ ინდივიდუალურ შემოქმედებას სულიერი დრამა ხიბლავს და მასზე ჩერდება, ხოლო ხალხური შემოქმედება მხოლოდ მიუთითებს მასზე. აღნიშნულის დასამტკიცებლად გრ.კიკნაძე ჯერ ვაჟა-ფშაველას შემდეგ სიტყვებს იმონებს: „ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატულ განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით“, შემდეგ კი უშუალოდ შემოქმედების ნაყოფთა შედარებაზე გადადის. იგი განიხილავს ერთ ხალხურ ლექსს და ვაჟა ფშაველას პოემას „სტუმარ-მასპინძელი“, რომელშიც გმირის სულიერ დრამას მწერალი საგანგებოდ ახასიათებს და იშველიებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს, მათ შორის შედარებებსა და გმირის ქცევის დეტალებზე ყურადღების გამახვილებას.

დასკვნის სახით მკვლევარი წერს, რომ *„გაშლილი მანერა თხრობისა, რასაკვირველია, ხალხურისათვის დამახასიათებელი არაა.“* [გრ.კიკნაძე, 1989:179]

მკვლევარი მონაცემთა შეჯამებით აკეთებს დასკვნას *„ყველა ნიმუშში, ამბავთა შესატყვისობასთან ერთად, თხრობის მხრივ დიდი განსხვავება შეიმჩნევა. ინდივიდუალური და ხალხური თხრობის განსხვავება, რაზედაც ზევით იყო ლაპარაკი, აქაც მკვეთრ გამოხატულებას პოულობს.“* [გრ.კიკნაძე, 1989:181]

გრ. კიკნაძე ბოლოს დაასკვნის: *„ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი ნიჭია საჭირო, რათა ხალხის მხატვრულმა გენიამ არ შთანთქმას ინდივიდუალური სახე ხელოვანისა; ვაჟას შემოქმედება იმასაც გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეა საჭირო ნიჭისა, რათა ხალხის მხატვრული შესაძლებლობანი ხელოვანმა თავისად აქციოს და საკუთარი ნიჭის გზით წარმართოს; ამისათვის აუცილებელია, რომ ხელოვანში თავი მოიყაროს ეროვნულმა, ხალხურმა მხატვრულმა ალლომ. დაუძალებლად სწორედ ეს ალლო გამომხეურდა ვაჟას შემოქმედებაში: მან ინდივიდუალის ენაზე თარგმნა ხალხური. ასეთი იყო ვაჟას გენია.“* [გრ.კიკნაძე, 1989:182-183]

პრ. იუზა ევგენიძემ - გრ. კიკნაძის მონაწიემ, გააგრძელა მასწავლებლის გზა. მან 1971 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი

ისტორია“, რომელიც მიზნად ისახავდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი სამყაროს კვლევას - ფარულად მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების, შემოქმედებითი ზრდის რთული გზის ამოხსნა-ნარმოჩენის საქმეს. მოგვიანებით, 1989 წელს მკვლევრის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგებმა თავი მოიყარა ფუნდამენტურ წიგნში „ვაჟა-ფშაველა (ცხოვრება და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები)“, რომელშიც მკვლევარი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მიდგომას ქართული ფოლკლორისადმი.

მკვლევარი თავდაპირველად აღნიშნავს: *„ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებულ შემოქმედებით ინტერესს იჩენს ეთიკურად ღირებული პრობლემებისადმი. ამ შემთხვევაში ვაჟას პოეტური იდეალები სათავეს იღებს ჩვენი ხალხის განცდებში ტრადიციულად დამკვიდრებული მწიგნობრივად გამძლე წარმოდგენებიდან. ვაჟას მეხსიერებითი უნარის წყალობით გაცოცხლებულია მითიური გადმოცემები, ძველთაძველი ბიბლიური ამბები, ლეგენდები... ეს პოეტისთვის არის ერთგვარი საბაბი, რათა საკუთარმა პოეტურმა შესაძლებლობამ გარკვეული ფორმა მისცეს ამ მასალასა და შთაბეჭდილებას.“ [ი.ევგენიძე, 1989:216}* იუზა ევგენიძის აზრით, ვაჟას დაუინებელი შინაგანი ლტოლვა და მოთხოვნილებაა „ახალი შინაარსით აავსოს ეს ძველი მასალა“. [ი.ევგენიძე, 1989:216]

მკვლევარი აღნიშნავს, რომ *„ვაჟა-ფშაველა ჭაბუკობიდანვე გატაცებით იწერს და აგროვებს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხოლო უფრო მოგვიანებით სხვის მიერ შეკრებილი ამგვარი მასალის რეცენზირებასაც ახდენს. ვაჟა ფშაველაში ცხოვრობს, ურთიერთობა უხდება ფშავ-ხევსურებთან და ბუნებრივია, როგორც მათი თანამოძმე, დაინტერესებულია არა მარტო ამ ხალხის ყოველდღიური ჭირ-ვარამით (რაც ასახულია მის კორესპონდენციებში), არამედ მთილთა ტრადიციებით, პოეზიითა და ამ პოეზიაში შემონახულ გმირთა ხასიათებით...“ [ი.ევგენიძე, 1989:235]* პროფესორის აზრით, „დიდია ვაჟას მიერ მოსმენილი და მის წერილებში განხილული მასალის სიახლოვე ვაჟას მხატვრულ შემოქმედებასთან“ [ი.ევგენიძე, 1989:236] იუ. ევგენიძე ბოლოს დაასკვნის: *„ამგვარ ვარემოში ტრიალი ამდიდრებს და ბიძგს აძლევს კიდევ ვაჟას ფანტაზიას,*

ამიტომაცაა, რომ შემოქმედებით პროცესში ეს მასალა აქტიურადაა ჩართული და გარდასახული, - რასაკვირველია, თავისებურად. “[ი.ევგენიძე, 1989:236]

გამოთქმული თეორიული მოსაზრებები ი. ევგენიძის წიგნის სხვადასხვა თავებში პრაქტიკულად - კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობითაა დასაბუთებული.

მკვლავარი წერს, რომ ვაჟა ყოველგვარი ლეგენდურ-მითიური იერის მქონე მასალისადმი არ იჩენს თანაბარ ინტერესს. „იგი სიძველიდან იმას იღებს, რასაც ხალხურ წარმოდგენაში გამძლეობა აქვს შენარჩუნებული და, ამ აზრით, თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვანი ერთეულის მნიშვნელობა შერჩენია.“ [ი. ევგენიძე, 1989:280] ი.ევგენიძის აზრით, ასეთია ხალხური მითოლოგიის ცნობილი გმირის - ამირანის სახე, რომლის თვისებებიც შეავსო და სრულყო ვაჟა-ფშაველამ თავის შემოქმედებაში („დაჩაგრული მესტვირე“, მთიელის შფოთი“, „გაზატხული“, „სტუმარ-მასპინძელი“ - ზვიადაურის სახე, „კლდე მტირალი“, „ამირანი“, სიზმარი ამირანისა“, „ამირანის ხმალი“, „მთათა ერთობა“).

მკვლევარი მსჯელობს პოემაზე „ბახტრიონი“ და აღნიშნავს, რომ „პოემის ფანტაზიას ერთის მხრივ ბიძგს აძლევს ხალხური გადმოცემები ბახტრიონის ბრძოლის შესახებ, იმის გამო, რომ ვაჟას იტაცებს ამ ბრძოლის სახალხო მნიშვნელობა და ხიბლავს ხალხის მესხიერებაში შემონახულ გმირთა თავდადება, - ეს თხზულება გმირულ ელოფერს ატარებს“ [ი.ევგენიძე, 1989:271], თუმცა არსებითი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვაჟა არა მხოლოდ მოგვითხრობს ხალხური იდეალის განმასახიერებელ მოვლენათა შესახებ, არამედ საკუთრივ ისტორიული ფაქტის სადღეისო შინაარსზე ამახვილებს ყურადღებას.

ი.ევგენიძე ახასიათებს ვაჟა-ფშაველას „სიმღერის“ ბუნებას და აღნიშნავს: „უნივერსალური შემოქმედებითი უნარია საჭირო იმისათვის, რომ ხალხურ სიმღერას დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სახე შესძინოს ხელოვანმა. [ი.ევგენიძე, 1989:287]

მკვლევარი ასეთი უნარით დაჯილდოვებულად მიიჩნევს ვაჟას: „ვაჟა-ფშაველას ისეთ სიმღერებს, როგორიცაა, მაგალითად: „მთას იქით მთვარე ამოდის“ (1885), „დაე, აყროლდეს სოფელი“, „ხევზედ მიდიან ნისლეები“, „სიმღერა“ (1887), „ცაზე იარე მთვარეო“ (1895), „დღესნამდე დაბლა ჰყვოდოდა“ (1910), „ნუმცა მსმენია სიკვდილი“ (1914)

და მრავალი სხვა, ფშავ-ხევსურული სიმღერებისათვის ნიშანდობლივი პოლითემატურობა ახასიათებს. როგორც აღნიშნავენ, ვაჟას „სიმღერებში“ ვცნობთ თემატურ ნაკადთა არა მხოლოდ თანაარსებობას, არამედ მათ თანასწორრიგებულებიანობასაც“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხალხურ ლექსებში შენიშნულ მრავალნაირ თემათა არსებობა არ გულისხმობს მათ ურთიერთკავშირს. მაგალითად, ჩვენ მიერ განხილული ფშავური ხალხური სიმღერის სტროფთა შორის განწყობილებრივი თვალსაზრისით შესაბამისობა არაა. მთვარისა და ბუნების ქმნილებათა მარადიულობისა და მომხიბვლელობის აღიარებას მოსდევს ფშავის ქორწილში „ნითელ კაბაით“ დამშვენებული ქალის „თამაშის“ გახსენება, შემდგომ მოულოდნელი მიმართვაა „სწორებისა“ და დედისადმი - „ნუ დამივიწყებთო“. თემთა შორის არსებული ამგავრი „ნახტომისებურობა“, „წყვეტადობა“ და „მოულოდნელი გადასვლები“ ხალხურ სიმღერათა სპეციფიკურ თვისებადაა აღიარებული“. [ი.ევგენიძე, 1989:301]

ვაჟას, როგორც ხელოვანის ინდივიდუალური ოსტატობის გამოხატულებად, მკვლევარი მიიჩნევს ხალხურ ლექსებთან შედარებით ვაჟა-ფშაველას „სიმღერებში“ განსხვავებულ თემთა შორის უფრო თვალსაჩინო ფსიქოლოგიური ურთიერთკავშირის არსებობას.

როგორც მოხმობილი მასალიდან ჩანს, პროფესორი იუზა ევგენიძე იზიარებდა გრ. კიკნაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვაჟა-ფშაველა მართლაც შემოქმედებითაც უდგებოდა ქართულ ფოლკლორს და თავისებურად ამუშავებდა, იყენებდა მასალად, რათა უკვდავი, მარადიული იდეები შეექმნა.

თავი III

ვაჟა-ფშაველას პოემათა შემოქმედებითი ისტორიისათვის

მართალია, ქართულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველას მიმართ სათანადო ინტერესი გამომჟღავნდა, მაგრამ ეს ინტერესი, როგორც უკვე დავინახეთ, გამოიხატა ვაჟას ნაწარმოებთა წყაროებზე მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ იგი თავისი ნაწარმოებების მასალას იღებს ხალხური შემოქმედებიდან და მითოსიდან. იმის აღწერას, თუ რა დაამატა, რა გამოაკლო და რა ცვლილებები შეიტანა ვაჟამ ამა თუ იმ ნაწარმოებში, ცხადია თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ მასალად რჩება. მთავარია როგორია იმ ცვლილებების მხატვრული აზრი, რომელიც ვაჟამ ხალხურ მასალაში შეიტანა. ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ვაჩვენოთ ვაჟას თხზულებათა წყაროდ მიჩნეული ფოლკლორული მასალა შემოქმედების პროცესში როგორ გადაიქმნება და როგორ იძენს ახალ შინაარსს. ამის ნათელსაყოფად ეპიკურ ქმნილებებს დავეყრდნობით, რადგან სწორედ აქ ჩანს მძაფრად ვაჟას პოეტური თავისებურებები.

წერილში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ ვაჟა თავითონ აღნიშნავს, რომ მის მიერ დაწერილი პოემების უმეტესობა ხალხურ თქმულებებსა და ძველ ამბებზეა დაფუძნებული, თუმცა თითოეული მათგანი ხან ძალიან შორდება დედანს, ხან კი - უახლოვდება. პოეტი თვლის, რომ თავისებურად შემუშავებულმა ნაწარმოებებმა უფრო მეტი სახელი მოიპოვეს საზოგადოებაში (ასახელებს „სტუმარ-მასპინძელსა“ და „გველისმჭამელს“), ვიდრე

ნაკლებად გადამუშავებულმა (ასახელებს „სულა-კურდღელასა“ და „ივანე კოტორაშვილს“). მწერლის ეს დამოკიდებულება უთუოდ თავმდაბლობას უნდა მივანეროთ, მაგრამ ორი პოემის - „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ივანე კოტორაშვილის“ მაგალითზე ვეცდებით მკითხველს დავანახოთ, რომ მიუხედავად ფოლკლორულ მასალისთან სიშორისა თუ სიახლოვისა, ვაჟა ყველგან მაინც ჭეშმარიტი შემოქმედის თვისებებს ავლენს და თავისებურად გარდაქმნის, ახალ მხატვრულ აზრს სძენს ფოლკლორულ მასალას.

აღსანიშნავია, რომ სანამ პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ შეიქმნებოდა, 1886 წელს წერილში „ხევსურები“ ვაჟა-ფშაველა წერს: *„ხევსურს, იმის გარდა, რომ უყვარს სტუმარი, თავისდა შესაფერად დახვედრაც იცის...სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდაც ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს: თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ მოერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისგან დაიცვას.“* [ვაჟა-ფშაველა, 1964:48] იუზა ევგენიძის აზრით, *„ამგვარი ეთნოგრაფიული ექსკურსები პოეტის მხატვრული შემოქმედებითი პროცესის გარკვეულად შემამზადებელი საფეხურთაგანია.“* [ი.ევგენიძე, 1989:358] როგორც ჩანს, სტუმარ-მასპინძლის ადათი ბიძგს აძლევს პოეტის ფანტაზიას, რათა დრამატული სიტუაციები შექმნას და ძლიერი ხასიათები გამოკვეთოს. ეს ყოველივე კი არ ახასიათებს ფოლკლორულ მასალას და მხოლოდ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია.

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაისტამბა. კრიტიკოსები იმთავითვე დადებითად განეწყვნენ და პოემას შედეგრი უწოდეს, თუმცა ეს მხოლოდ ემოციური შეფასება იყო და არა ლიტერატურული. ასევე, მკვლევრებმა გაარკვეეს, რომ პოემის ფოლკლორული წყაროა გავრცელებული ლექსი ლუის ლუხუმზე. „სტუმარ-მასპინძელში“ გადაბმული ორი თემა - ერთი მოვალეობა სტუმრის წინაშე და მეორე - საფლავზე შეწირვის ამბავი, ორივე პარალელს პოულობს ა.შანიძის მასალებში. (#42) *„ქისტის საფლავზე ხევსური ზვიადურის შეწირვა არსებითად იგივეა, რაც თუში ლუის ლუხუმის სამსხვერპლოს დაკვლა ქისტის საფლავზე.“* (#143) [ა.შანიძე, 1931:023-024]

თავად ვაჟა-ფშაველაც ასახელებს „სტუმარ-მასპინძლის“ ფოლკლორულ წყაროებს წერილში „კრიტიკა ბ.იპ. ვართავასი“: „სტუმარ-მასპინძელი“, მაგალითად, არის ამენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდა ქისტებს ხელში. რა შემთხვევით ეს მე არ გამიგონია, მაშასადამე ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადურისა შინ დაპატიჟება და შეპყრობა ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, მოგვითხრობს ძველი ამბავი, ჰყავთ ახალი მკვდარი ვილაცა ხევსურისგან მოკლული. თანახმად ჩვეულებისა, საჭიროა სისხლის აღება. თვით მიცვალებული თხოულობს ამას და რათა დააკმაყოფილონ იგი, დააშოშმინონ ვარდაცვალებული თანამოდმის ალტყინებული გრძნობა შურისძიებისა, ქისტები ჰკლავენ ზვიადურს დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამიგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟკაცობა და გულადობა გამოიჩინა ხევსურ ზვიადურმა. რაში გამოიხატა ეს ვაჟკაცობა? ვაჟკაცობა ზვიადურისა იქიდან სჩანს, რომ ის არ დალაჩრდა, თუმც ხნჯლის წვერით ყელში სჩხვლევდნენ ქისტის საფლავზე ხარივით წამოქცეულს სამსხვერპლო ზვიადურს და როცა ქისტები იტყოდნენ: - იყავ საიქიოს მონა-მოსამსახურე დარლასი, უზიდე წყალი, გაუბანდე ჯღანი, რაც სამსახური მოითხოვს შენგან თავგამოდებით, ერთგულად აუსრულო, - ეს უკანასკნელი ვიდრე სულს დალევდა ხრიალებდა ყელში: „ძაღლს იყოს თქვენი მკვდრისადაო“. რომ შეშინებულიყო ზვიადური ამ სიტყვებს ვეღარ იტყოდა და მაშინ შეწირული იქნებოდა, ვახდებოდა ქისტის მონა საიქიოს, მაგრამ რადგან იგი უკანასკნელ ამოქმენამდე არ შედრკა, არ გატყდა, არ მოიხარა ქედი წინაშე მტრებისა და სიკვდილისა, იგი დარჩა თავისუფალ ხევსურად, ვაჟკაცად, ხოლო დარლა განბილებული, დაუკმაყოფილებელი, აი მთელი ამბავი, რომელზედაც მე ავაშენე „სტუმარ-მასპინძელი“. მაშასადამე, ჯოყოლა, აღაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი.“ [ვაჟა-ფშაველა, 1986:734-735]

როგორც ი.ევგენიძე მიუთითებს: „ვაჟას აქვს განსაკუთრებული ინტერესი და მიდრეკილება ისეთი სიტუაციებისადმი, ჩვეულებებისადმი, სადაც ადამიანის მძიმე ვითარება იქნება გამოვლენილი...“ [ი.ევგენიძე, 1989:364]

ასეთია ის ფოკლორულ-ლიტერატურული გარემო, რომელიც ერთგვარ ნიადაგს ქმნის „სტუმარ-მასპინძლის“ შექმნისთვის.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, მკვლევართა ინტერესი ამბავთა გარეგნული დამთხვევის ძიებისკენ იყო მიმართული, არადა მნიშვნელოვანია ის შინაგანი სულიერი დრამა, რომელსაც პოტენციაში შეიცავს ესა თუ ის გადმოცემა და რომელსაც ავტორი ორიგინალური ნააზრევით ამდიდრებს და ახალ მხატვრულ აზრს სძენს.

ვაჟა-ფშაველამ მოსმენილი ამბავი მხატვრულად გადაამუშავა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არსებობს პოემის ავტოგრაფი. ცხადია, მწერალი შემოქმედებითი მუშაობის დროს ასწორებდა, ხვეწდა და სრულყოფილ სახეს აძლევდა იმ ფოკლორულ მასალას, რომლითაც ისარგებლა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვაჟას თურმე ორ თვეზე მეტი უფიქრია, თუ რა უნდა ეპასუხა ჯოყოლას ნამტირალევი ალაზასთვის, რომელიც ქმარს ეუბნებოდა: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისადაო“. ეს მიუთითებს პოეტის შემოქმედებითი მუშაობის შრომატევადობასა და სირთულეზე.

ცხადია, პოემას არ ახასიათებს ფოკლორული მასალისათვის დამახასიათებელი ამბავთა გადაუბმელობა, ხარვეზიანობა თუ ფრაგმენტულობა.

ვაჟა ქმნის რთულ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს (ალაზას მიერ ჯოყოლას დატირება), იგი ძლიერ ხასიათებს გამოკვეთს (ალაზა, ჯოყოლა, ზვიადაური), განცდათა სირთულის ჩვენებას ისახავს მიზნად (ალაზას განცდათა ჭიდილის პროცესი), რაც არაა დამახასიათებელი ფოკლორისათვის.

როგორც გრ. კიკნაძე მიუთითებს, ინდივიდუალური ხელოვნებისათვის სულის მოძრაობის ჩვენება და მისი გადმოცემაა მთავარი.

პოემაში ძირითადი ამბავი შემზადებულია გარემოსა და პერსონაჟების აღწერით, თხრობა დეტალურია - ესეც ინდივიდუალური შემოქმედებისთვისაა დამახასიათებელი და არა ფოკლორული მასალისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაჟა-ფშაველა მართალია სარგებლობს ფოკლორული მასალით, მაგრამ ამბავს მხატვრულად ამუშავებს, ხატავს გმირთა ხასიათებს და ასე ავლენს თავის ორიგინალურ თვალთახედვასა და ოსტატობას.

პოემაში „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ მოთხრობილია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორია (ერეკლე II-ის მეფობის პერიოდი) - აღმოსავლეთ საქართველოს ხალხთა ბრძოლა მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ. პოემაში წარმოდგენილ ამბებსა თუ მოტივებს პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ პოეზიაში. საისტორიო სიტყვიერება ერეკლე II-ის თანამებრძოლთა შორის ივანე კოტორაშვილს არ ასახელებს. თ.ქერდოვანიძის აზრით, *„ლეკთა თავდასხმების ამსახველ მრავალ ნაწარმოებს შორის ვაჟა-ფშაველას პოემის გმირთან ყველაზე ახლოს დგას სახალხო გმირი გელა ნათელაშვილი. ეს სიახლოვე, უპირველეს ყოვლისა, გმირთა ხასიათების, საქმიანობის ერთგვარობით არის გაპირობებული. სახეთა, მით უმეტეს, გმირების თავსგადახდენილ ამბავთა მთლიან იდენტურობას, ბუნებრივია, არც უნდა მოველოდეთ ისეთი შემოქმედთან, როგორც ვაჟა-ფშაველაა.“* [თ.ქერდოვანიძე, 1991:136] თავად ვაჟაც წერილში „კრიტიკა ბ.იპ.ვართაგავასი“ წერს, რომ პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ ნაკლებად გადამუშავებულია და ამიტომაც ნაკლებად სახელოვანიც. მიუხედავად ამისა, პოემაში მოიძებნება ისეთი ეპიზოდები და მოტივები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ - ფოლკლორულ მასალასთან აშკარა სიახლოვის მიუხედავად, პოეტის მიდგომა შემოქმედებითია და ახალი მხატვრული აზრით ავსებს არსებულ მასალას.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველა მთავარ პერსონაჟს - ივანე კოტორაშვილს, დეტალურად ახასიათებს. აღწერს მის როგორც ფიზიკურ სიძლიერეს, ისე შინაგან თვისებებს და *„გმირის გარეგნული ხატი მჭიდრო კავშირშია მის შინაგან ბუნებასთან“* [თ.ქერდოვანიძე, 1991:137] ცხადია, ფოკლორული შემოქმედებისათვის ეს დამახასიათებელი არაა და ვაჟა სცილდება ივანე კოტორაშვილის პროტოტიპს.

ვაჟა-ფშაველა გმირის ცხოვრებიდან მხოლოდ იმ ეპიზოდებს მოგვითხრობს, რომელშიც გმირის თავდადებაა გადმოცემული სამშობლოს მიმართ. ეს იმაზე მიგვნიშნებს, რომ ყველა ამბავი ურთიერთშეთანხმებულია და ემსახურება გარკვეულ მიზანს, განსხვავებით ფოლკლორული შემოქმედებისაგან, რომელსაც ამბავთა გადაუმელობა და ფრაგმენტულობა ახასიათებს.

პოემის მესამე და მეშვიდე ეპიზოდების პარალელები არ მოგვეპოვება ზეპირსიტყვიერებაში და ისინი პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდებში გმირთა ზნეობრივი სახეები იხატება. აქ ინდივიდუალური ხელოვანის კიდევ ერთი ნიშანი ჩანს - გმირთა სულიერი მოძრაობის დახატვა და მათი ძლიერი ხასიათების გამოკვეთა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ მხატვრული აზრის თვალსაზრისით გარდაქმნილია და ინდივიდუალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, მიუხედავად მისი ახლო და მკაფიო კავშირისა ფოლკლორულ მასალასთან.

დასკვნა

ვაჟა-ფშაველა იზრდებოდა სახალხო მთქმელთა გარემოში და მომავალი მწერლის სულიერ სამყაროსა და შემოქმედებით ფანტაზიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ფოკლორულმა მასალამ.

ვაჟა-ფშაველას სისხორცეული დაკავშირება ხალხურ პოეზიასთან გაუცნობიერებლად, ბავშვობაში დაიწყო, შემდეგ კი იგი მეცნიერულად უდგებოდა ფოლკლორულ მასალას: კრებდა და იწერდა ხალხურ პოეზიას, თქმულებებსა თუ ლეგენდებს, მოგვიანებით უხვი მასალა დაუგროვდა შემოქმედებითი მიდგომისათვისა და პოეტური სახეების ხორცშესხმისათვის. მასზე დიდი გავლენა მოახდინა ხალხურმა თქმულებებმა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეექმნა ახალი, ორიგინალური სიუჟეტები და გაემდიდრებინა ქართული ლიტერატურა შედეგებით.

თავდაპირველად ახალგაზრდა პოეტი აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ წერილებს ფშავ-ხევსურეთზე, აცნობდა მკითხველს მთიელთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ცხადია, ამ გზით მწერალი თავისი კუთხის ყველასთვის გაცნობას ცდილობდა და, რაც ყველაზე მთავარია, ხელს უწყობდა ერის კონსოლიდაციას.

მოგვიანებით ვაჟამ ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი ხალხური თქმულებების გამოყენება დაიწყო. ლიტერატურულმა კრიტიკამ დიდი ინტერესი გამოიჩინა მწერლის მიმართ. სხვა საკითხებთან ერთად, მათი ინტერესის საგანს სწორედ ის წრმოადგენდა, თუ როგორ მიმართებას ამყარებდა ვაჟა-ფშაველა ფოლკლორულ მასალასთან: შეუცვლელად იღებდა თუ შემოქმედებითად უდგებოდა. აღსანიშნავია ის, რომ დღემდე გრძელდება აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიება, რადგანაც ამოუწურავია ვაჟა-ფშაველას გენია და შეუძლებელი ამოცანაა მისი სრული შესწავლა.

გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება. მათ შორის ბევრი სადაოც. ეს გამონვეული იყო ვაჟას შემოქმედების თავსებური, ორიგინალური ბუნებით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია განსხვავებულ შეხედულებათა გათვალისწინება, რათა სრული მასალის შესწავლის ფონზე გამოტანილ იქნეს სწორი და მართებული დასკვნები.

თითქმის ყველა კრიტიკოსი ერთხმად აღიარებდა ვაჟას მჭიდრო კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან და ამ თვალსაზრისით მის გამორჩეუობას, თუმცა ზოგიერთმა კრიტიკოსმა ვაჟას რიგი ქმნილებები უშუალო გადმოცემა-გადაკეთებადაც ჩათვალა ხალხური ნიმუშებისა, რასაც დიდი მწერლის საფუძვლიანი გაღიზიანებაც მოჰყვა. გარკვეულმა მოსაზრებებმა ვაჟას უკარნახა, რომ თავისი სახელგანთქმული პოემების ხალხური წყაროები - გადმოცემა, თქმულებები თვითონ დაესახელებინა გულწრფელად, რომ კრიტიკოსებს არ მისცემოდათ საშუალება არამართებული დასკვნების გაკეთებისა, როგორც ეს მოხდა გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში.

ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა წერილები („კრიტიკა ბ.იპ. ვართაგავასი“, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „PRO DOMA SUA“), რომლებშიც აღიარა თავის შემოქმედების მჭიდრო კავშირი ხალხურ პოეზიასთან, თუმცა მკაფიოდ გახაზა, რომ არ

ყოფილა უბრალო გადმომღები და ხალხურ თქმულებებს, ლეგენდებსა თუ ლექსებს საკუთარ სულიერ ქერაში აღნობდა, ახალ სულს აძლევდა. ფოლკლორი კი მხოლოდ მასალა იყო მისთვის, რომელიც აძლევდა წყაროს ახალი იდეებისა და ტიპაჟების შესაქმნელად. ვაჟამ ასევე დაუფარავად დაასახელა თავის პოემების ფოლკლორული წყაროები. ეს წერილები უდიდესი მნიშვნელობისაა ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის, რადგან უტყარ ცნობებს შეიცავს.

ლიტერატურის მკვლევართ ვაჟამ ის მიზანი დაუსახა, რომ, ერთის მხრივ, მათ უნდა შეძლებოდათ ხალხური შემოქმედების ნიმუშებისგან განესხვავებინათ დიდი ხელოვანის მწერლური ნიჭით შექმნილი თხზულება. მეოცე საუკუნეში კვლევა-ძიება, განსაკუთრებით ქართველ ფოლკლორისტთა შრომა იმ მხრივ წარიმართა, რომ გამოვლენილიყო ის წყაროები, ის ხალხური მასალა, რაც შესაძლოა ყოფილიყო ვაჟას თხზულებათა წყარო.

ამ გზაზე უდიდესი იყო მნიშვნელობა აკაკი შანიძის მიერ შეგროვებული და 1931 წელს წიგნად გამოცემული ქართული პოემების (ხევსურულის) ნიმუშებისა. ეს წიგნი ა.შანიძის საინტერესო კომენტარებით არც სადღეისოდ არ კარგავს აქტუალობას.

მასალის შეგროვება, ამ მასალის სკუპულოზული შესწავლა, შედარება ვაჟას სახელგანთქმულ ნაწარმოებებთან, რა თქმა უნდა, საშური საქმე იყო. ამგვარი მეცნიერული მუშაობა სადღეისოდაც წარმოებს. ამ გზაზე ბევრი მართებული და არამართებული მოსაზრებაც გამოითქვა. ზოგჯერ თვით ვაჟას თვითალიარების რევიზიაც კი მოხერხდა. მაგალითად, ეჭვი იქნა შეტანილი ვაჟას ნათქვამში, რომ კვირია და ლელა მისი ფანტაზიის ნაყოფია და მათი პროტოტიპების ძიებაც იქნა ნაწარმოები, მაგრამ ამგვარი სამუშაო ძირითადად შემკრებლობით-აღწერითი იყო.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან, როცა შეიქმნა გრ. კინაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, კვლევა-ძიებამ ვაჟას თხზულებათა ფოლკლორულ მასალასთან მიმართების თვალსაზრისით ახალი თვისობრივი შინაარსი შეიძინა. მკვლევარმა მიუთითა თვისობრივად განსხვავებულ ნიშნებზე ფოლკლორულ წყაროსა და ვაჟას გენით შექმნილ თხზულებებს შორის, ამგვარი სახის კვლევას უდიდესი

მნიშვნელობა იმ მხრივაც აქვს, რომ იგი მეტად გვაახლოვებს დიდი პოეტის შემოქმედებითი პროცესების საიდუმლოს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მის პოეტურ გენიალურობაზე მეტყველებს. ვაჟამ შეძლო ფოლკლორით ესარგებლა და თავისი შემოქმედების მასალად ექცია იგი ისე, რომ არ დაეკარგა პოეტური ინდივიდუალობა, თავისი ჰუმანური შეხედულებები, ფილოსოფიური ინტერესები ღრმად ეროვნული ფორმებით გამოეხატა. ამანაც აქცია დიდი პოეტი ქართველი ხალხის სულიერ მისწრაფებათა გამომხატველად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ბენაშვილი დ., „ვაჟა-ფშაველა“, 1961 წ.
- 2) ბოცვაძე ი., „ვაჟა-ფშაველა და მისი კრიტიკოსები“, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1965 წ.
- 3) ევგენიძე ი., „ვაჟა-ფშაველა“, 1989 წ.
- 4) ვაჟა-ფშაველა „თხზულებანი“, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986 წ.
- 5) ვაჟა-ფშაველა „თხზულებათა სრული კრებული“, ტ. IX, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1964 წ.

- 6) „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, შეაღგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო იოსებ ბოცვაძემ, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955 წ.
- 7) ვართაგავა იპ., „კრიტიკული წერილები“, თბილისი, სასწავლო-შედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1958 წ.
- 8) ზადუკელი მიხ., „ვაჟა-ფშაველა“, თბილისი, 1959 წ.
- 9) კვესელავა მ., „ფაუსტური პარადიგმები, თბილისი, 1961 წ.
- 10) კიკნაძე გრ., „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989 წ.
- 11) კოტეტიშვილი ვ., „ქართული ლიტერატურის ისტორია“, (XIX) თბილისი, 1959.
- 12) ნაკაშიძე ი., „ვაჟა-ფშაველას პოეზია (კრიტიკული ცდა)“, კვალი, #44, თბილისი, 1895 წ.
- 13) ნარდიონი ს., „ვაჟა-ფშაველა“, გაზ. „სამშობლო“, #143, 1915 წ.
- 14) სიხარულიძე ქ., „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება“, თბილისი, 1956 წ.
- 15) ქიქოძე გ., „ვაჟა-ფშაველა“, 1928 წ.
- 16) ქერდოვანიძე თ., „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეტური სიტყვა“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991 წ.
- 17) შანიძე ა., „ქართული ხალხური პოეზია“, (ხევისურული), თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1931 წ.
- 18) ჩიქოვანი მიხ., „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია“, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, მეცნიერულ-პოპულარული სერია, 1956 წ.
- 19) ჩიქოვანი მიხ., „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, თბილისი, გამომცემლობა საქ. სსრმეცნ. აკად; რუსთაველისსახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი, 1971 წ.
- 20) ჩიქოვანი ს., „ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება“, 1963 წ.
- 21) ჩხენკელი თ., „ტრაგიკული ნიღბები“, თბილისი, 1971 წ.

- 22) ცაიშვილი ს., „ვაჟა-ფშაველა (შენიშვნები და პარალელები)“, თბილისი, 1977 წ.
- 23) ნონკოლაური დ., „ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები“, თბ. 1983 წ.
- 24) ჭუმბურიძე ჯ., „მწერლები და კრიტიკოსები“, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974 წ.
- 25) ხახანაშვილი ალ., „ქართული სიტყვიერების ისტორია“, თბილისი, 1913 წ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's programme: georgian literature

Khvedelidze Ana

Vazha-fshavela's attitude to folklore

The work is represented for the Ma dregee of Georgian literature

Research Supervisor: Lado Minashvili

A doctor of philology,

TSU Associate Professor.

Tbilisi

2019